№ 2946
ხუთშაბათი
10 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2946
ხუთშაბათი
10 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელსიორ“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მიიღება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელსიორ“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელსიორის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—ნ.—24)

ანნა თევდორეს ასული რცხილაძისა შვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის ქმრის

ზაქარია სპირიდონის ძის რცხილაძისას,

პანაშვიდები საღამოს ხუთ საათზე, მიხეილის საავადმყოფოს ნიშში. გასვენება 12 ნოემბერს, დილის ცხრა საათზე, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. (1—435—1)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში № 5.

ხუთშაბათს, 10 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და **ს. მ. რომანიშვილის** მონაწილეობით პირველად ახალი პიესები:

I **ძალა ცოდნაშია** პიესა 3 მოქ. ფილიპისა.

II **ქურდი** კომედია 1 მოქ. მირბოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზედ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. შეგირდებთათვის ადგილები 40.

მზადდება წარმოსადგენად „სულით ობოლნი“ და „ქოხში“. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი

სთხოვს გუბერნიის თავადთა და აზნაურთ მობრძანდნენ **თავად-აზნაურობის საგუბერნიო საგანგებო კრებაზე**, რომელიც მოხდება 19 ამა ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, სათავ.-აზნაურო ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე. (3—2)

„ალაზანი“
კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ

დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792 (10—7)

ტფილისის საკომერციო სასწავლებელში საპედაგოგიო კომიტეტი იწვევს მოსწავლეებს შეუდგნენ სწავლას ხუთშაბათს, 10 ნოემბერს, დილის რვა საათზე. (1—433—1)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—23)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—25)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.

კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 11, სახლი სვანიშვილისა.

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,

შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—18)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—23)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—24)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—7)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა,

აცხადებს რა საყოველთაო საცნობელად, რომ 10 ნოემბერს, ხუთშაბათს საღამოდან უნდა გაიწმინდოს აუზი, საიდანაც გადის წყალი დიდუბესა, კუკიასა, ჩუღურეთსა, ვორონცოვის შოსსესა, ხარფუხსა და მტკვრის მარჯვენი ნაპირზე გოლოვინის პროსპექტამდე, ხოლო 13 ნოემბერს, კვირას საღამოთი—ის აუზი, საიდანაც ეძლევა წყალი გოლოვინის პროსპექტის ზემოთ მდებარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, განოვის ქუჩასა, ოლგასა და წყნეთის ქუჩებს და იმათ გადასახვევებს, მამა დავითისა და ამაღლების მოედნებსა, ავლაბარსა და ნავთლუხს, სთხოვს ამ უბნების მცხოვრებთ ამ დროსათვის წინდაწინ დაიმზადონ წყალი. (3—6.—2)

ტფილისი, 10 ნოემბერი.

ქრისტე ჯალათის როლში.

ვინ დაიჯერებს, რომ მართლმადიდებელ რუსეთში ქრისტეს, სიყვარულის მოძღვარს, ჯალათის როლი დააკისრეს? ვინ დაიჯერებს, რომ იმ ჯვარის სახელით, რომელზედაც აწამეს მაცხოვარი ჭეშმარიტებისათვის, მართლმადიდებელ რუსეთში გახდა სიმბოლო სისხლის მსმელებისა? ვინ დაიჯერებს, რომ მართლმადიდებელ რუსეთში სიყვარულის სახელით საჯაროდ იწვევენ ხალხის საუკეთესო ნაწილის ამოწყვეტისათვის? ვინ დაიჯერებს, მაგრამ სინამდვილე სხვას ღაღადებს.

აიღეთ ხელში მე-290 ნომერი „მოსკოვსკი ვედომოსტისა“, წაიკითხეთ პირველ გვერდზედ მსხვილის ასოებით დაბეჭდილი მოწოდება და დაიჯერებთ უცნაურს, საკვირველს, დაუჯერებელს ამბავს.

„საღმრთო კავშირი ხალხის თვითდაცვისა.
ქრისტეს ჯვარი — სიყვარულის სიმბოლო.
წითელი დროშა — სისხლის სიმბოლო.
ვინც ჯვრისკენაა, ის ჩვენსკენაა.
ვინც სისხლისკენ, ის ჩვენ წინაამდეგაა.
სახელითა სიყვარულისა და ჯვრისა ღვთისათა.

შემოკრბით, რუსის ხალხო, საღმრთო კავშირის ხალხის თვითდაცვის დროშის ქვეშ. ქრისტეს სჯულისთვის, მეფისათვის, სამშობლოსათვის, ტახტის მემკვიდრეობისათვის, რუსეთის მთლიანობისათვის, რუსეთის ხალხოსნობისათვის, კანონიერებისათვის, წესიერებისათვის, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ხალხისთვის წყნარ და მშვიდობიან ცხოვრებას!

ვეამბოროთ ერთი ერთმანეთს და სიყვარულის ბეჭდით აღვბეჭდოთ ჩვენ შორის დაფუძნებული გულითადი კავშირი!

შემოკრბით, რუსის ხალხნო, სატახტო ქალაქებში, ქალაქებში, სოფლებში, დაბებში, სადგურებში, აულებში, თვალუწვდენელ მინდვრებში სიყვარულის სახელით სისხლის წინაამდეგ.

მოიწადინეს წესიერების მტერთა, ფლიდთა და ვერგთ წმიდა რუსეთის დაღუპვა, ას წლოვან ბოძების შერყევა, შებღალვა მართლმადიდებელ სჯულის, მეფის თვითმპყრობელობითის ძალისა, აღმართეს წმინდა რუსეთში წითელი დროშა, მეფე გამანთავისუფლებელის სისხლით შეღებილი, ქადაგებენ აჯანყებას, რევოლიუციას, რესპუბლიკას—თვითნებობას.

და რაც ას წლობით შეჰქმნა რუსის ხალხმა, მთელი საკუთრება რუსეთის სახელმწიფოსი, იმათ სურთ, როგორც ვერაგ მგლებს, ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯონ.

არა ერთი, არა ორი წელიწადი იზრდებოდა ეს ქვემძრომი შფოთი! გველსავით მოეხვია რუსეთის მიწას და დასცინის წმიდა ჯვარს, ემუქრება თვით მეფეს და მართლმადიდებელ ხალხს.

ვევედრებით უფალს, ნუ ეღირსება სისხლის სიმბოლო გამარჯვებას.

შეგვეწიე შენ, წმიდაო გიორგი ძლევამოსილო! რუსულ ფარზედ არს დახატული შენი სახე: მრისხანე გველს ჰგმირავ შენ!

მოგვანიჭე ჩვენც, მხედარო ღვთისაო, ძალა სიყვარულით დავიცვათ წმიდა რუსეთი, ერთიანი, განუყოფელი.

დაიფარე ფარითა შენითა ღვთისნიერითა მეფე ჩვენი, რათა წინაგვიძღოდეს ნებითა თვისითა მეფისათა წესიერების გზაზედ სიყვარულისა და ერთობისათვის.

ამიერიდან სცან რუსის ხალხო:

ვინც აღმართავს დროშას წითელს, იგი აღმართავს სიმბოლოს სისხლისას. მაგრამ „ვინც ლახვარს ამოიღებს, ლახვარითვე განიგმირება“, ეს ქრისტეს სიტყვებია.

ჩვენთან, რუსის მართლმადიდებელო ხალხო! ჩვენთან, ქრისტეს მოყვარულო რუსის მხედრობავ!

ღვთისათვის, მეფისათვის, წმიდა რუსეთის მშვიდობისა და აყვავებისათვის“.

გრაფ ვიტტე მთავრობის განცხადებაში ბრალსა სდებდა სისხლის ღვრაში უკიდურეს ელემენტებს, იმათ სახავდა წესიერების და მშვიდობიანობის მტრებად. განა ეხლა შეიძლება ეჭვი ჰქონდეს ვისმეს, ვინ არის ნამდვილი მიზეზი წესიერების და მშვიდობიანობის დარღვევისა, სისხლის ღვრისა. წერილობითი დოკუმენტი ხელში გვიჭირავს. ორგანო, რომელშიაც თავს იფარებენ გულითადი მეგობრები თვითმპყრობელობითის რეჟიმისა, რომლის აზრები იყო აზრები მთავრობისა, დღეს უშიშრად საჯაროდ იწვევს ხალხს—შემოკრბენ განმათავისუფლებელ მოძრაობის მომხრეთა ამოსაჟლეტად. არა უკიდურეს ელემენტებს ემუქრება „საღმრთო კავშირი“, არამედ ყველას, ვინც კი ეთანხმება მთავრობას და მასთან ერთად აღიარებს რუსეთის რეჟიმის უვარგისობას, მოქალაქობრივ თავისუფლების საჭიროებას. „საღმრთო კავშირი“ რევოლიუციონერის სახელით ნათლავს არა ნამდვილ რევოლიუციონერს, არამედ ყველას, ვისაც არ მიაჩნია დედა-ბოძებად „სჯული ქრისტესი, მეფე, სამშობლო, ტახტის მემკვიდრეობა, განუყოფლობა რუსეთისა, რუსეთის ხალხოსნობა“.

„საღმრთო კავშირი“ დაუფარავად უთითებს ხალხს ბრძოლის იარაღზედ. ვინც ლახვარს ამოიღებს—ლახვრით განიგმირება“. ლახვარი, თოფი, ზარბაზანი,—აი პასუხი, რომელიც უნდა მისცეს „რუსის ხალხმა“ მეშფოთეებს.

ქადაგება იარაღით ბრძოლისა იმასთან, ვინც უხუთავს ხალხს სულს, ვისაც არ უნდა დაადასტუროს ხალხის უფლება, მთავრობის შეხედულობით მძიმე დანაშაულობაა, რომელიც უნდა დაისაჯოს სასტიკად. ქადაგება-კი იარაღით ბრძოლისა იმათ წინაამდეგ, ვინც მშვიდობიანად და აღტაცებით იმეორებს 17 ოქტომბრის მანიფესტის სიტყვებს, მთავრობის შეხედულებით, კანონიერია, შესაწყნარია და ღირსია ყოველისავე ქებისა და შემწეობისა.

იქნება მთავრობამ სთქვას, რომ ცილსა გვწამებთ? მაშ რატომ არ დაჰგმობს თავის განცხადებებში „სამშობლოს დამცველთა“ ვერაგულ საქციელს? რატომ მაინც შენიშვნას არ აძლევს, რატომ ზომებს არ იღებს იმათ ასალაგმავად მაშინ, როცა „რევოლიუციონერებს“ ასობით და ათასობით ახვრეტინებს „ქრისტეს მოყვარულ მხედრობას“?.

არა, მთავრობაც იმათი მომხრეა, ვისაც სწადია გაღვიძებულ ხალხის ხელახლად დაძინება, ვისაც სურს კვლავ გაამეფოს რუსეთში თვითნებობა და ძალადობა... მაგრამ გვიანღაა!

* * *

პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლებისათვის რუსეთში

(პოლიტიკური ქრონიკა).

(წერილი მეოთხე).

საყურადღებოა ერთი და იგივე ჩვეულებრივი მოვლენა რუსეთის თვითმპყრობელობის პოლიტიკაში. ყოველსავე ასე თუ ისე შესამჩნევ რეფორმებს უსათუოდ თან მოსდევს საზიზღარი რეპრესიები როგორც დღევანდელ რეფორმებს, თუმცა ეს რეფორმები არა „ნაბოძები“, არამედ გამოგლეჯილია, თვითმპყრობელობის მთავრობა სასტიკს და საზიზღარ რეპრესიებს თან დასძენს, ისე მესამოცე წლებშიაც 1864 წლის ლიბერალურ რეფორმებს ყოველივე წმინდა აზრის განმაქარწყლებელი რეპრესიები თან მოჰყვა. გავიხსენოთ 1865 წ. მოსკოვის თავად-აზნაურო საგუბერნიო კრებების მოსპობა, 1866 წლის დამლევს მოსპობა საერობო კრებებისა, როგორც საგუბერნიო, პეტერბურგში, ისე მთელ პეტერბურგის გუბერნიაში და გადაცემა ყოველ საქმისა ისევ ადმინისტრაციის ხელში და მრავალი სხვა.

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში ერობის შემოღებისათანავე იბადებოდა ეგრედ წოდებული „მესამე ელემენტი“, საუკეთესო ნაწილი რევოლუციონურ კადრისა. მთავრობის რეაქციონურმა მოქმედებამ გამოიწვია, რასაკვირველია, რევოლუციონურ ძალების შეერთება და თანდათან სასტიკი ბრძოლა. პოლონეთის განადგურებამაც 1863 წელს ბევრი თავგანწირული მებრძოლი მისცა რუსეთის სარევოლუციო პარტიას. მესამოცე წლების დამლევს დაარსდა სარევოლუციო კომიტეტები საზღვარ გარეთაც რუსეთის და პოლონელების ემიგრანტების მეთაურობით და გამწვავდა ერთი-ორად ბრძოლა ორსავე მხრიდან—შიგ რუსეთში და საზღვარ გარედ—თვითმპყრობელობასთან. ბრძოლა გახურდა რუსეთის წესწყობილების წინაამდეგ არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარ გარედაც. გავიხსენოთ ანტონ ბერეზოვსკის (პოლონელი იყო) პროცესი საფრანგეთში, სენის დეპარტამენტში 3-ს ივლისს 1867 წ. ეს პროცესი გამოიწვია ეგრედ წოდებულმა „სროლამ ბულონის ტყეში“ 25 მაისს 1867 წ. ამ ბერეზოვსკის საფრანგეთის ნაფიცმა მსაჯულებმა გადაუწყვიტეს სამუდამო კატორგა.

მოაწია სამოცდა ათმა წლებმა და საფრანგეთის 1870 წლის რევოლუციის ქარიშხალმა რუსეთშიაც დაჰბერა. რუსეთის შინაურ პირობებს ზედ დაემატა ევროპის გავლენაც და ამ გავლენით გატაცებული და გამხნევებული მაგალითით რუსეთის ინტელიგენცია ერთი-ორად მედგრად შეუდგა ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ამ დროს რევოლუციონურ მოძრაობის ბუდედ მოსკოვი და შვეიცარია იყო. მოსკოვსა და პეტერბურგში მეთაურობდა სერგეი ნეჩაევი (მასწავლებელი იყო), ხალხის მედგარი, შეუპოვარი და თავგანწირული მეგობარი. ნეჩაევის თაოსნობით მოსკოვში დაარსდა განყოფილება ჟენევის საერთაშორისო სარევოლუციო კომიტეტისა. მოუსვენარ და დაუღალავ ნეჩაევის თაოსნობით (ოგარიოვის ცნობილ ლექსში—„სტუდენტი“—დიდად ნაქებია ნეჩაევი) პოლიტიკურ წრეებში იღებდნენ მონაწილეობას იმისთანა რევოლუციონერები, როგორნიც იყვნენ პეტრე ტკაჩოვი, თავ. ვ. ჩერქეზიშვილი და სხვანი.

აი, როგორი სამოქმედო პროგრამა შეიმუშავა ნეჩაევის რევოლუციონურმა „ორგანიზაციამ“.

„**I. მიზანი.** ა) რევოლუციონურ ამხანაგობას მხოლოდ ერთად ერთი მიზანი აქვს—მუშა ხალხის განთავისუფლება და ბედნიერება. ამხანაგობა დარწმუნებულია, რომ მხოლოდ რევოლუციით შეიძლება ხალხის განთავისუფლება, ამიტომ იგი მიჰმართავს ყოველნაირ საშუალებას და ღონის-ძიებას, რომ გაანადგუროს ის სულთამხუთავი ბოროტი ძალები, რომელნიც ხელს უშლიან სარევოლუციო მოქმედებას.

ბ) ამხანაგობას ხალხის რევოლუციად არ მიაჩნია იმისთანა რეგლამენტალური მოძრაობა, „როგორიც ხდება დასავლეთ ევროპაში და რომელიც ყოველთვის თავდება იმითი, რომ ერთის მთავრობის მაგივრად ჩნდება მეორე მთავრობა თავიდან ბოლომდის გაჟღენთილი ძველის ტრადიციებით. ხალხის სახსნელად საჭიროა მხოლოდ იმისთანა რევოლუცია, რომელიც ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრის ძველ ტრადიციულ სახელმწიფოს და გაანადგურებს ყოველნაირ სახელმწიფო ტრადიციულ წესწყობილებას და კლასობრივ უსამართლობას.

გ) ამხანაგობა არა ფიქრობს ძალდატანებით თავს მოახვიოს ხალხს რაიმე ორგანიზაციის ფორმა. ამხანაგობა დარწმუნებულია, რომ მომავალ ცხოვრების ორგანიზაციის რაიმე ფორმა თვით ხალხის ცხოვრებიდანა და მოძრაობიდან გამოიჩეკება. ორგანიზაციის საქმეა ვრცელი, სასტიკი და ყოვლად შეუწყნარებელი დამხობა არსებულ წესწყობილებისა.

დ) ამხანაგობამ უნდა შეაერთოს ხალხის ყველა საოპოზიციო ელემენტები და ასე იმრიგად შეადგინოს ყოვლად უძლეველი და ყოველისავე საზიზღარ პირობების დამმხობი ძალა.

II. როგორ უნდა უყურებდეს ნამდვილი რევოლუციონერი თავის თავს.

ა) რევოლუციონერს არ უნდა ჰქონდეს არავითარი თავისი კერძო ინტერესები, კერძო საქმეები, კერძო საკუთრება და თითქმის არც თავისი სახელი, გამსჭვალული უნდა იყოს მარტო ერთის ინტერესით, ერთის აზრით, ერთის გრძნობით—რევოლუციით.

ბ) რევოლუციონერი თავის არსებით სრულიად სწყვეტს ყოველნაირ კავშირს არსებულ ცხოვრებასთან, რომელთანაც მას არ უნდა ჰქონდეს არავითარი ზნეობრივი კავშირი—იგი არის არსებულ წესწყობილების შეუწყნარებელი მტერი.

გ) რევოლუციონერმა დღე და ღამ უნდა ისწავლოს ნამდვილი მეცნიერება ცხოვრებისა, უნდა შეისწავლოს სხვა და სხვა ხასიათები, მდგომარეობანი და ყოველნაირი პირობები არსებულ საზოგადო წესწყობილებისა, რომ მით უფრო მალე დაამხოს ყოვლად საზიზღარი არსებული წეს-

წყობილება. ყოველივე ის, რაც ხელს უმართავს რევოლუციის გამარჯვებას, ზნეობრივია და ყოვლად საზიზღარი და დასაგმობია ის, რაც რევოლუციას ხელს უშლის.

დ) რევოლუციონერი უნდა იყოს სასტიკად შეგნებული თავგანწირული მებრძოლი, უნდა ესმოდეს, რომ იმასა და არსებულ წესწყობილებას შორის შეუწყვეტელი და ყოვლად შეუწყნარებელი ომია სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ამის გამო მან ისე უნდა შეიმუშაოს თავის თავი, რომ მედგრად და სულგრძელად მიიღოს წამებაც-კი.

ე) რევოლუციონერის ყოველივე სიყვარული და ალერსი ცხოვრებაში, ყოველივე მისი ნუგეში, ჯილდო და კმაყოფილება უნდა იხატებოდეს მარტო რევოლუციის გამარჯვებაში, მარტო ხალხის პოლიტიკურად და ეკონომიურად განთავისუფლებაში.

დანარჩენი მუხლები პროგრამისა ეხება მას, თუ როგორ უნდა მოეწყოს სხვა და სხვა წრის საქმე, როგორ უნდა მოქმედებდეს რევოლუციონერი საზოგადოებაში და სხვას.

ნეჩაეველების პროცესში იყო გაბმული 84 კაცი. მათ შორის ოთხს (უსპენსკის, კუზნეცოვს, პრიჟოვს და ნიკოლაევს) გადაუწყვიტეს კატორგაში გაგზავნა 7 წლიდან 15 წლამდის, თვით ს. ნეჩაევს-კი გადაუწყვიტეს 20 წლის კატორგა. დანარჩენებს ზოგს ციმბირში გაგზავნა ვადით და უვადოთ და ზოგს საპყრობილეში დაპატიმრება. ვ. ჩერქეზიშვილი ამ პროცესშიაც გაება და გადაუწყვიტეს ექვს-ნახევარ წლით ციმბირში გაგზავნა.

ზემოხსენებულ რევოლუციონერების პროგრამის უმთავრესი ნაწილი სრულიად ცხადად გვაჩვენებს, თუ რა თავ-განწირულად ებრძოდა რუსეთის ინტელიგენცია რუსეთის თვითმპყრობელობას და როგორის შეუპოვარის ძალებით თანდათან ამზადებდა იმ ნიადაგს ხალხის განთავისუფლებისას, რომლითაც დღეს ყველა სარგებლობს.

1873 წლის დამლევს, როდესაც გათავდა ნეჩაევის პროცესი, თვით-მპყრობელობის ვითომ გამარჯვებულმა მთავრობამ თავის „უკაზით“ მიმართა საზღვარ-გარედ მყოფ ემიგრანტებს, რომ იგინი სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დროებით გამხნევებული მთავრობა, დიდ მუქარებს უთვლიდა. ამით მთავრობას უნდოდა ხელში ჩაეგდო იმისთანა მამათ-მთავარი რევოლუციისა, როგორნიც იყვნენ დიდად ცნობილი სოციალისტი და მწერალი პეტრე ლავროვი, ცნობილი მწერალი ოგაროვი, მიხეილ საჟინი, ლ. გოლდენბერგი, მთელ ევროპაში სახელ-განთქმული მ. ბაკუნინი, გერმან ლოპატინი, რომელიც ეხლა-ხან შლისელბურგის ციხეში 19 წლის ყოფნის შემდეგ პეტროპავლოვის ციხეში გადაიყვანეს და სხვ. მაგრამ თვითმპყრობელობა მოსტყუვდა: მოძრაობა ჩაქრობის ნაცვლად, უფრო გაძლიერდა და მოამზადა განთავისუფლება.

მ.—ხი.

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბ-ნო რედაქტორო!

თვალ-ცრემლიანი აღშფოთებულის გულით გკითხულობ გურიიდან მიღებულ წერილს, რომლითაც მატყობებენ სრულიად უდანაშაულო, ჩემის მეზობლების სახლ-კარის გადაწვა-გადაბუგვას მეფის ჯარის მიერ, (იმ ჯარისა, რომლის სამხეცეს, სხვათა შორის, იქამდის მიუღწევია, რომ მეფისავე სამსახურში პრაპორშჩიკის ჩინით დაჯილდოვებულ დარისპან ღლონტისაც არ დაუზოგავთ, ყოველივე მისი ქონება ცეცხლით გაუნადგურებიათ და მერე ცეცხლის ალში ჩაუგდიათ დასაწვავად, მაგრამ რადგან განგების ძალით ცოცხალ-მკვდარი გადარჩენილა. იმედს არ ვკარგავ, რომ დამნაშავენი ღირსეულად იქნებიან დასჯილნი, მაგრამ რით შეიძლება იმათ მიერ დაწიოკებულ და განადგურებულ ოჯახების აღდგენა?

ამასთან გაახლებთ თორმეტ თუმანს უმორჩილესის თხოვნით, ათი თუმანი ჩემს მაგიერ მიაწოდოთ ცეცხლისაგან დაზარალებულს ჩემს მეზობლებს, დანარჩენი ორი თუმანი კი ტეხნიკოსმა ვლადიმერ ივანეს ძე ბეკაურმა გადმომცა მათთვისვე მისაწოდებლად.

იამორ ამბაკოს ძე მახარაძე

—

ბ-ნო რედაქტორო!

რედაქციის აზრი შესახებ ბიუროს დაარსებისა დაზარალებულთა დასახმარებლად ძლიერ მოსაწონია. დაუყოვნებლივ საჭიროა გამართოს ხელის მოწერა მთელ საქართველოში. საჭიროა მხნე მოქმედება ბიუროს მიერ. გარდა კერძო შემომწირველთა, უნდა მოითხოვონ დახმარება არსებულ ჯგუფთაგან და საზოგადოებათაგან. შარშან-წინ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ ორი ათას ხუთასი თუმანი (25,000 მ.) შესწირა რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას. იმედია, არც ეხლა დაიშურებს. თანხა აქვს. მოხელეებმა ამავე საქმისთვის თავიანთ ჯამაგირებიდან ყოველ თვე თითო თუ ორ-ორი % გადადვან, ესენი არც ეხლა იტყვიან უარს.

ამ ხანად გიგზავნით ხუთ მანეთს. გარდა ამისა ყოველ თვე თითო მანეთს გამოგიგზავნით სანამ შევიძლებ. მე წარსულის მოტრფიალე არა ვარ, მაგრამ ახლა კი პატივისცემა და თითქმის შური დამებადება ჩვენის ძველებისადმი, რომელნიც მტრის შემოსევაზედ დაიძახებდნენ, ქუდზე კაციო, და დიდით პატარამდე ფეხზე დადგებოდნენ. იმათ შეძლება ჰქონდათ შემოსეულ მტრისათვის იარაღით გაეცათ პასუხი. ჩვენ ამას მოკლებულნი ვართ. დღეს გურია გაიძარცვეს და რო ჯარი არ დაებრუნებინათ, გურულები უნდა გაემტვერებინათ. ჩვენ კი გულხელ დაკრეფილებს უნდა გვეძინა. მაშ მატერიალურათ მაინც დავეხმაროთ ჩვენ აწიოკებულ ძმების წვრილშვილს.

გ. თ—ი.

ამას გარდა შემოსწირეს: გიორგი ხუტულაშვილმა—5 მან., არსენ ნ. ქავთარაძემ—5 მ., პლატონ პ. კილასონიამ—2 მ., პოდპორუჩიკმა მახაბელმა—5 მან., ტერ-აკოფოვის ხერხის ქარხნის მუშებმა (ვასილ თ. თურქაძის მიერ შეკრებილი)—8 მ. 25 კაპ. ამ უკანასკნელთა შემომწირველთა სია:

გიორგი სოხაძე 1 მ., საქრო გურასპაშვილი 1 მ., დავით ბაქრაძე 1 მ., ვასო თურქაძე 50 კაპ., სანდრო კრისტესიაშვილი 50 კ., გაბო ჩალიძე 50 კ., არშაკ ტერ-გრიგოროვი 60 კ., ვანო ლაშკარიძე 40 კ., ვიქტორ კოცირიძე 40 კ., მუშა მუნჯი 40 კ. სანდრო გურასპაშვილი 30 კ., სერგო მურჯიკელი 30 კ., მიხაკ კუნელაური 30 კ., გიგო ტარიელოვი 30 კ., ალფეზი სოხაძე 25 კ., ფილიპე სოხაძე 25 კ. და გიორგი ბერიშვილი 25 კ.

—

ქ-ნ მახადევაჲას მიერ შეკრებილი 5 მ. და 50 კ. შემომწირველნი:

ა. მიხალევიჩი—50 კ., ა. ლიუბინსკაია—50 კ., ნ. ტორომანოვი—1 მ., კოდინი—50 კ. კატია და ლილლა—40 კ., მარუსია—10 კ., გ. მალტუზოვი—1მ., ლედაკოვი—50 კ., იაგორ ახვერდოვი—50 კ. ნიკ. ახვერდოვი—50 კ.

სულ დღემდე ჩვენს რედაქციაში შემოვიდა—827 მ. 50 კ.

ახალი ამბავი

◆ **თავდასხმის შესახებ ლეჩხუმში**. ლეჩხუმში მომხდარი ამბები ისეთს რასმე არ წარმოადგენს, როგორც პირველ ხანებში ისმოდა. რამდენიმე კაცი დასცემია ქრებალოსა და ალპანის საპოლიციო საყარაულოს. კაცი არ დაშავებულა. დარაჯების იარაღი ქრებალოში წაიღეს. როგორც ისმის, ხალხი მშვიდობიანობის გზას დაადგა. საზოგადოდ, უკანასკნელ ხანებში იმერეთში იშვიათი სიწყნარე და მშვიდობიანობაა. თუ რიკოთთან მატარებლის გაჩერებას და თოფის წამლის წაღებას არ მივიღებთ მხედველობაში, თვალსაჩინო ავაზაკობისა და წესიერების დარღვევის მხრივ არა მომხდარა რა.

◆ **პლასტუნების თავგასულობა**. ოზურგეთში დაბინავებული პლასტუნები ძალიან აწუხებენ ხალხს. სტეხავენ და ძარცვავენ დუქნებს, ხალხს საჩხუბრად იწვევენ და სხვა სამაგლობას სჩადიან. ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობამ ეს გარემოება აცნობა გუბერნატორს და შემწეობა სთხოვა. როგორც შევიტყეთ, პლასტუნები ფოთში გადაჰყავთ და მათ მაგიერ ოზურგეთში დააბინავებენ ხერსონის პოლკის ბატალიონს.

◆ **გადასახლებულთა დაბრუნება**. გუშინ და გუშინწინ ქალაქ კოზლოვიდან დაბრუნდა 45 კაცი, რომელნიც ქართლიდან პოლკოვნიკის ალფტანგისა და გოგოხის განკარგულებით იქმნენ გადასახლებულნი. დაბრუნებულთა შორის არის პოეტი თედო რაზიკაშვილი, ი. ოდოშაშვილი, სილ. ნოზაძე, ჯანელიძე, ქიმერიძე, ს. მაჭავარიანი, გაგნიძე, ნანიტაძე, შატბერაშვილი, სტეფანაშვილი, გარსევანიშვილი და სხვ.

◆ **თავდასხმა**. 6 ნოემბერს ქობულეთსა და ნატანებს შუა, მე-71 ვერსზე, საქონლის მატარებელს დაეცა თორმეტი შეიარაღებული კაცი. გააჩერეს მატარებელი, გახსნეს ერთი ვაგონი, გადმოაგდეს ორი ბოჩკა. ამ ორ ბოჩკაში უნდა ყოფილიყო ჰურველი, ბათუმიდან განჯაში გაგზავნილი, მაგრამ შიგ თოფის წამალი აღმოჩნდა. რასაც მოელოდნენ, თან წაიღეთ, რაც არა და, იქვე დაუტოვებინათ.

◆ **ჯარი პოლიციის სამსახურში**. როგორც ვწერდით, თუმცა საომარ დროის წესები გაუქმდა, ტფ.-ში, მაგრამ ღამ-ღამობით შეიარაღებული სალდათები და ყაზახები მაინც დგანან. პოლიციის ყველა ნაწილებში, როგორც გავიგეთ, დაიქირავეს სადგომები ჯარისათვის. პოლიციის მე-9 ნაწილში, მაგალითად, უნდა ჩააყენონ 80 ჯარის-კაცი, მე-7 ნაწილში 36 და სხვ. ჯარის-კაცები ინიშნებიან პოლიციის განკარგულებაში.

◆ **უარი სამხედრო ბეგარაზე**. ტფილისის მაზრის სამხედრო საკრებულოში უკვე დამთავრდა კენჭის ყრა და ყმაწვილ კაცთა შემოწმება. ბევრი გაექცა საკრებულოს და დღევანდლამდე არ ეკარება. სართიჭალის საბოქაულო გაწვეული იყო კენჭის ამოსაღებად 229 კაცი და აქედან 72 კაცი უნდა ჩაერიცხათ სამსახურში. კენჭის ამოღების შემდეგ ბევრნი აღარ გამოცხადდნენ, ამის გამო სამსახურში გასაწვევ ახალგაზდობის სია შეავსეს მეორე და მესამე ხარისხის შეღავათიანებით. ტფილისში ბევრნი არ გამოცხადდნენ კენჭის ამოსაღებადაც. ვინც კენჭი ამოიღეს, სახლებში წავიდნენ და ჯერაც არ გამოცხადებულან შესამოწმებლად. მთელის მაზრის მამასახლისებმა ჯარში გაწვეულ ახალგაზდობის დავალებით მოთხოვნები წარუდგინეს საკრებულოს თავმჯდომარეს. ახალგაზდობა აცხადებს, სამსახურში გამოვცხადდებით მხოლოდ იმ პირობით, თუ თვეში ჯამაგირად 3 მან. დაგვინიშნავთ, სამხედრო ბეგარის სამსახურის ვადა 2 წლამდე შემცირდება და სამსახურს კავკასიაშივე მოგვახდენინებთო. სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარემ წინადადება მისცა სამაზრო ადმინისტრაციას, დამალულნი ძალით მოიყვანოს.

◆ **ხალხის მოძრაობის ჩამქრობ აფიცერთა დაჯილდოვება**. ნამესტნიკს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ის აფიცრები, რომელნიც ხალხის არეულობების დროს ამ არეულობების ჩაქრობაში მონაწილეობას იღებდნენ, დაჯილდოვებულ იქნენ. „ვოზ.“-ს სიტყვით, მეოჯახე აფიცერს უნდა მიეცეს ოთხი თვის ჯამაგირის ოდენი თანხა, უცოლშვილო აფიცერს ორი თვის ჯამაგირის ოდენი. სამხედრო მინისტრს მოუთხოვნია, გვაცნობეთ, სულ რამდენი ფული დასჭირდება მაგ საქმესაო.

◆ **თავდამცველი რაზმები**. ზოგიერთ უბნებში უკვე დაარსდა ხულიგანებისაგან თავდამცველი რაზმები.

◆ **ფედერალისტთა მიტინგი**. 6 ნოემბერს ს. ბაღდადში ფედერალისტთა ინიციატივით გაიმართა სახალხო მიტინგი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. როდესაც პირველმა ორატორმა სიტყვა გაათავა, ადგილობრივ ქვეითა ჯარის უფროსი აფიცერი მოვიდა გუბერნატორის საკანგებო მოხელესთან და რაღაცის თქმა მოინდომა. ამ გარემოებამ დამსწრეთა შორის უსიამოვნობა გამოიწვია. აფიცრის მოსვლა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, იმან გამოიწვია თურმე, რომ ადგილობრივ ბოქაულის მწერალს თავისებურად აეხსნა აფიცრისთვის კრების თავისუფლების კანონები და ამ საგნის გამოსარკვევად მოსულიყო. გუბერნატორის მოხელემ აუხსნა აფიცერსაც და ხალხსაც, რომ კრება ნებადართულია და კრებების თავისუფლება უმაღლესად არის მინიჭებული. აფიცერი დაკმაყოფილდა და მიტინგი გაგრძელდა. ვიდრე მორიგი ორატორი ილაპარაკებდა, შეკრებილით ბოქაულის მოქმედება გაჰკიცხეს და სურვილი განაცხადეს, რომ იგი ბაღდადიდან გადაიყვანონ. ათს საათზე დაწყებული მიტინგი საღამოს 4 საათამდის გაგრძელდა და ამ დროს განმავლობაში წესიერება ერთხელაც არ დარღვეულა. რეზოლიუციაში მიტინგმა მოითხოვა დამფუძნებელ კრების მოწვევა, სახაზინო, საბატონო, საეკლესიო და საუფლისწულო მიწების ხალხისათვის გადაცემა, რუსეთის ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობა და საქართველოში ავტონომიის შემოღება.

◆ **სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის განცხადება**. ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაცია (უმცირესობის ფრაქცია) აუწყებს საზოგადოებას, რომ ორგანიზაცია ამიერიდან აუქმებს საზოგადოებაში გავრცელებულ კერძო ფურცლებით (გარდა ვურიის ფურცლებისა) ფულის შეგროვებას და ნაცვლად ამისა ნიშნავს ორ საიმედო აგენტს, რომელნიც აღჭურვილნი არიან ორგანიზაციისაგან საჭირო საკვიტანციო წიგნაკებით.

◆ **საომარ წესების გაუქმება**. „კავკაზ“-ში დაბეჭდილია ნამესტნიკის ოფიციალური ბრძანება ბათუმსა, ბათუმის ოლქსა და კინტრიშის საბოქაულოში საომარ დროის წესების გაუქმების შესახებ.

◆ **გაფიცვა**. რაჭის გზაზე ფოსტის მეეტლეები გაიფიცნენ. მიზეზი გაფიცვისა მცირე ჯამაგირი და ჯამაგირის დაგვიანებაა. ფოსტის მიმოსვლა რაჭა-ლეჩხუმსა და ქუთაისს შუა შეჩერებულია.

◆ **ბოიკოტი**. ქალაქის წვრილმა ხორცის მოვაჭრეებმა გამოუცხადეს ბოიკოტი მსხვილ ყასბებს, რადგან 3 მ. 50 კ. მაგივრად ერთბაშად 4 მანეთად გახადეს ფუთი ხორცი, და ამ თვის 9-დან ხორცი აღარ მიაქვთ.

◆ **მაჰმადიანთა მიტინგი**. პარასკევს, 11 ნოემბრისთვის, თათრის სასაფლაოზე განზრახულია გამართონ მაჰმადიანთა მიტინგი.

◆ **მაჰმადიანთა მოთხოვნილება**. ტფილისში მცხოვრებმა მაჰმადიანებმა დაადგინეს მოსთხოვონ ტფ. ქალაქის თვითმმართველობას, ყურადღება მიაქციოს იმ უბნებს, სადაც მაჰმადიანები სცხოვრობენ, რადგან ეს უბნები სულ უპატრონოდ არის მიტოვებული.

◆ **ურიადნიკის მოკვლა**. კავკავის გზაზე, კავკაზსკაის სადგურზე, როდესაც სახალხო მატარებელი მისულა, სოფელ რომანოვსკის მცხოვრებთ გადმოუყვანიათ მატარებლიდან ურიადნიკი და იმდენი უცემიათ, რომ მოუკლავთ. მოკლულის გვამი წუმპეში ჩაუგდიათ.

◆ **პანაშვიდი**. დუშეთში 6 ნოემბერს გადახდილ იქმნა პანაშვიდი 22 ოქტომბერს დახოცილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრებია.

ფელეტონი

გურიაში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

გათენდა თუ არა 15 ოქტომბერი, ახმაურდა ოზურგეთი: „გაფიცვაა, დუქნები იხურება 8 საათზე, იყიდეთ თუ რამე გინდათ“, ატყობინებდნენ ერთმანეთ მეზობლები. ისმოდა მაღალი ლაპარაკი. დიდი, პატარა, მოსამსახურე, ბატონი, ყველანი მიეშურებოდნენ ქალაქისაკენ სანოვაგის სასყიდლად.

დაჰკრა თუ არა 8 საათმა, მართლაც დუქნები სისწრაფით დაიკეტა და ნახევარ საათის განმავლობაში სრულიად დაცარიელდა ქალაქი, დაწყნარდნენ მცხოვრებლებიც. ქუჩებში გამვლელ კაცს ველარ დაინახავდით, პლასტუნების პატრულებს გარდა, რომელნიც თოფებით მრისხანედ დადიოდნენ ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და მეტიც ერთად. ამასთან გავარდა ხმა, რომ უკანასკნელმა მატარებელმა გაიარა ბათუმისაკენ, ტფილისისაკენ-კი აღარ წასულაო, ყველგან ტელეგრაფის მავთულები გაფუჭებულია, ბოძები დაჭრილი, ხიდები აფეთქებული, რკინის გზის ლიანდაგზე რელსები აყრილი. უკანასკნელი ფოსტა ნატანებიდან ამ დღეს მოიტანა მაზრის უფროსმა ლაზარენკომ, რომელსაც შვიდი სტრაჟნიკი ახლდა.

წავიკითხეთ უკანასკნელი ნომერი გაზეთებისა და ამ დღიდან დავრჩით სრულიად მოწყვეტილნი სხვა ქვეყანას. არ ვიცოდით, სად რა ხდებოდა. მაგრამ გურულები ეს რამდენიმე წელიწადია შეჩვეულნი არიან გაფიცვებს და ისე უყურებენ, როგორც საუკეთესო იარაღს თავ-გასულ მთავრობასთან საბრძოლველად, ამისათვის ყველანი მხნედ და მხიარულად იყვნენ. ყველა ელოდა, რომ ცოტა რამ შეღავათი მაინც იქნება, გაიყვანენ სოფლებიდან ეგზეკუციებს, მოგვაშორებენ ყაზახებს და სხ.

მეორე დღეს, 16 ოქტომბერს, კვირას, კრება იყო სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა იყო, შეიკრიბა ხუთასამდე ქალი და კაცი. ჰქონდათ მსჯელობა სალდათების მიცემის, გადასახადის გადახდის და სკოლების გახსნის შესახებ და ამას გარდა ამას წინად კალანდაძის ცოლის მოკვლის მკვლელის დასჯის შესახებ. კრება მშვიდობიანად, გულდასმით მსჯელობდა. სკოლის შესახებ გადასწყვიტა, გაეხსნა, თუმცა, ერთის ორატორის სიტყვით, პირობებიც უხეირულია და მასწავლებლებიც და სასწავლებლებიც ყოვლად „გათახსირებული“, მაგრამ, რადგან ბავშვებზე ძალიან ცუდად მოქმედობს ამნაირი უქმი მდგომარეობა, რადგან ბავშვები სრულიად გაველურდნენ, ხალხს კი შეძლება არა აქვს თავისუფალი სკოლები დააარსოს, ამისთვის უმჯობესია, ბავშვები მაინც სწავლობდნენო. რად არის გაველურებაზე უმჯობესი გათახსირებულ სკოლაში სწავლა, ესე იგი გათახსირება, ეს ორატორმა ვერ დაასაბუთა. გადასახადის გადახდის შესახებ კრებამ საზოგადო, ცნობილი მოთხოვნილება გამოიტანა, სალდათებს კი მისცემენ, თუ სამსახური 2 წლით შემცირდება და სალდათებს სამშობლოში დასტოვებენ.

კრება საღამოს მეხუთე საათზედ დაიშალა. ჩოხატაურიდან კი ამბავი ჩამოვიდა, ხალხსა და სტრაჟნიკებს შორის შეტაკება მოხდა და ორი სტრაჟნიკი მოუკლავთო. როგორც ბოლოს აღმოჩნდა, მოკლული ერთი იყო და ორი დაჭრილი. ამასთან გავრცელდა ხმა, რომ მაზრის უფროსს, ლაზარენკოს ბათუმის გენერალ-გუბერნატორთან კაცი გაუგზავნია და გაუტანებია მოხსენება, რომელიც კომიტეტს ჩაუვარდა ხელში. ლაზარენკო სთხოვს ჯარი და ზარბაზნები გამოიგზავნოს გურიაში გურულების დასაწყნარებლად. ჯარი მოდის აუარებელიო, ამბობდა ხალხი. ჯერ ამ ამბავს სკეპტიკურად შეხედა ხალხმა. არ ელოდა, რომ ის ლაზარენკო, რომელსაც გურულები მშვიდობიან და ხალხის მეგობრად სთვლიდნენ, ამისთანა საზიზღარ საქმეს ჩაიდენდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ლაზარენკოს მართლაც ჩაუდენია ეს სამარცხვინო და შემაძრწუნებელი საქმე, რომელმაც გამოიწვია გულშემზარავი ძმათა ომი და მშვიდობიან მცხოვრებთა აწიოკება.

მიუხედავად ამ ხმებისა, ყველგან სიწყნარე იყო, ქალაქში ცხოვრება შეჩერდა, მცხოვრებნი სანოვაგეს ვერ შოულობდნენ, პლასტუნები უფრო გამწვავებით დათარეშობდნენ ქუჩებში. ყოველ დღე თითო დუქანს სტეხდნენ და მიჰქონდათ საჭირო სანოვაგე. იჭერდნენ ძროხებს და ჰკლავდნენ. ორი კაცი რომ გაჩერებულიყო ქუჩაში, მაშინვე „ხიშტიანი“ პლასტუნი დაიბადებოდა, „Ну проходи, проходи“, დაუყვირებდა რიხიანად და თუ არ გინდოდა ამ ხიშტის სტუმრება გვერდში, უნდა მოშორებოდი აქაურობას. ხალხი ღელავდა, შფოთავდა, მაგრამ სდუმდა, ითმენდა და იცდიდა. არაფერ აქტიურ საშუალებას, გარდა გაფიცვისა, არ ეძებდა და აი, 19 ოქტომბერს, დილით, ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს და სოფელს, რომ მაზრის უფროსი ლაზარენკო ასის პლასტუნით და სტრაჟნიკებით ნაშუაღამევს გაემართა ჩოხატაურისაკენო.

რატომ, რისთვის? ყველას ერთი პასუხი ჰქონდა: ხალხის დასაწყვეტად, ხალხის დასარბევად. ამ ამბავმა ყველას თავზარი დასცა. ტანჯულ ხალხის მოთმინება გასკდა და იფეთქა სტიქიურ ძალის მოხმარების სურვილმა. ერთის პოლიციის მოხელის წინდაუხედავმა საქციელმა აღგზნებულ ცეცხლს ნავთი დაასხა პლასტუნების წაყვანით. ისედაც აღელვებული ხალხი სრულიად ააშფოთა და მოსწყვიტა შრომას. ეს მუშა გლეხები მოსწყვიტა სიმინდის რჩევას, გაცხარებულ ყურძნის კრეფას, საზამთრო შეშის მზადებას, ერთის სიტყვით მოაშორა ერთი წლის ჭირნახულის თავის მოყრას და აამხედრა მოძმის წინააღმდეგ, მოძმის მეთქი ვამბობ, რადგან ყოველ გურულს ნათლად ესმის, რომ პლასტუნი იგივე ძმაა ჩვენი, მაგრამ გონება დაჩლუნგებული, მანქანად გადაქცეული, მთავრობის მსხვერპლი უბედური კაცი, რომელიც ჭეშმარიტად სიბრალულის ღირსია და არც ერთი გურული არ ემტერება პირადად ყაზახს. და აი ამისთანა ხალხი, რომელიც მშვიდობიან პროტესტის გზას ადგა, მთავრობამ, ლაზარენკოს სახით, გააბოროტა და მიუსია პლასტუნებს. მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ დროს თურმე უკვე იყო მომხდარი დიდი რეფორმა და შეიძლებოდა მშვიდობიანად საქმის გათავება.

19-სავე ოქტომბერს პლასტუნის აფიცრები ცოლშვილით და ქალაქის თავში დაბანაკებული პლასტუნები ქვევით ყაზარმებში გადავიდნენ და გამაგრდნენ. პატრულები გააძლიერეს. პოლკოვნიკმა გამოაცხადა, რომ მცხოვრებთ, ვისაც სურს, შეუძლია თავი ყაზარმებს შეაფაროსო, მაგრამ მსურველი არავინ აღმოჩენილა. ხმა დაჰყარეს, რომ გურულები თავს უნდა დაესხნენ ოზურგეთში პლასტუნებსაო. თუმცა ქალაქის მცხოვრებთ ეს ამბავი არა სჯეროდათ, მაინც ყველანი შეშინებულნი და შეშფოთებულნი სდუმდნენ. სდუმდა ქალაქი, მაგრამ სოფლები ფეხზე დადგნენ. მთელი ორი დღე 19 და 20 ოქტომბერს ყველგან სოფლებში დღიან-ღამიანა ისმოდა შეუწყვეტელი მოსაწვევი რეკა ზარებისა, აქაიქ ისმოდა თოფის სროლა. ხალხი: მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, კაცი მირბოდა და მიეშურებოდა სერიოზულის, შეშფოთებულის სახით ჯგუფ-ჯგუფად და თითო-ოროლა.

— რა ამბავია, კაცო, სად მირბიხართ?— მივუბრუნდი ერთ ამგვარ ჯგუფს.

— რავა რა ამბავია: ამოწყვეტას გვიპირობენ, ნაჩალიკს ჯარი წაუყვანია; ჩოხატაურშიც ჯარია თურმე მომდგარი და აწე აქეთ წამოსვლიან. უნდა შევაკვეთო!—მიპასუხა ერთმა გრძელ წვერა მოხუცებულმა, ჩაგლეჯილ ახალუხიანმა კაცმა, რომელსაც ხელში დიდი ჯოხი ეჭირა და გამოუდგა უფრო კარგად შეიარაღებულ ამხანაგებს.

ჯერ კიდევ 19 ოქტომბერს გავარდა ხმა, რომ ოზურგეთიდან წასული პლასტუნები ამტვრევენ ჩოხატაურში დუქნებს და უწესოდ იქცევიანო. ეს ამბავი, თითქოს ჰაერში დაჰქროდა, იცოდა ყველამ, დიდმა და პატარამ. ხალხი შეიარაღებული და შეუიარაღებელი მოდიოდა და მიდიოდა. მიდიოდნენ უფრო გაბედული ქალებიც.

ლაზარენკო ასი პლასტუნით და სტრაჟნიკით დილით მივიდა ჩოხატაურში. იქ სრული მშვიდობიანობა დახვდათ. გარდა იმისა, რაც მომხდარიყო, როგორც სჩანდა, არაფერს არ აპირებდნენ. ლაზარენკოსთან არაფრისთვის არავინ არ მისულა, მაგრამ როგორც ამბობენ, იმას ეს აჯანყებად ჩაუთვლია. 19 ოქტომბერს ღამე იქ დარჩა და 20 ოქტომბერს გადასწყვიტა უკან დაბრუნება და ასე, ნაშუადღევის 2 საათზე გამოვიდა ჩოხატაურიდან. ამ ჯარს თან წამოჰყვა თავის ცოლშვილით იქაური მომრიგებელი მოსამართლე პეკარსკი, რომელიც 15 წელიწადია ჩოხატაურში მსახურებს და ამ ხნის განმავლობაში არ მოშორებია ჩოხატაურს. ასე გასინჯეთ, ოზურგეთშიც-კი არა ყოფილა. თავის საკუთარი სახლიც აუშენებია იქ და არავითარი წყენა მცხოვრებთ იმისთვის არ მიუყენებიათ. მე თითონ ველაპარაკე მსაჯულს და ვკითხე:

— მაშ რამ გაიძულათ გამოჰყოლოდით ჯარს, თუ თქვენთვის არც ესროლიათ, არც უწყენინებიათ და პატივის ცემითაც გეპყრობოდნენ მეთქი.

— მე ვიფიქრე,—მიპასუხა მან, რომ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებაა და მთავრობის მოხელეებს ყველას ამოწყვეტენ მეთქი. პეკარსკი მოხუცებული, გულკეთილი კაცია, ტიპიური მოხელეა, რომელსაც ამ 15 წლის განმავლობაში აზრადაც-კი არ მოსვლია, დაახლოვებოდა იმ ხალხს, სადაც სცხოვრობდა, გაეგო იმისი ზნე-ჩვეულება, შეესწავლა ცოტაც არის მაინც ენა. მას არ ესმის გურიის მოძრაობის აზრი.

ნასაკირალი თითქმის ერთი უმშვენიერესი ადგილია მთელ გურიაში. თქვენ წინ თითქოს მოსიყვარულე ხელისაგან განგებ გაშენებულ ბაღის თვალუწვდენელი ჰორი-

◆ **ხალხის სასამართლო.** გუშინ ოლგას ქუჩაზე 3 ჯიბგირი შეესვათ ჯორებზე, სახე გაემურათ და ქუჩა-ქუჩა ატარებდნენ. როცა კარგა მანძილი შემოატარეს, ხალხმა ჯიბგირები საპოლიცო უბანში მიიყვანა და გადასცა პოლიციას.

◆ **უკანასკნელნი ეშელონი.** 7 ნოემბერს სამტრედიიდან წამოვიდა უკანასკნელი ეშელონი იმ ჯარისა, რომელიც გურიას უნდა შესეოდა.

◆ **თავდასხმა.** სად. აგარაში 6 ნოემბერს ვიღაც შეიარაღებული კაცები თავს დაეცნენ მუშების სადგომს, მოჰკლეს რემონტის მუშა, კონსტანტინე დევდორიანი, და გაძარცვეს სადგომი.

◆ **საბჭოს კრება.** დღეს, 10 ნოემბრისთვის, დანიშნულია ტფ. ქალაქის საბჭოს კრების გაგრძელება.

◆ **ეკზეკუცია.** სოფ. მეტეხში სამ კვირაზე მეტი ეკზეკუცია იდგა. ყაზახებმა გაანადგურეს მთელი სოფელი. 4 ნოემბერს, როგორც იქნა, მოხსნეს ხარჯი ას ოცი ყაზახისა, მხოლოდ ყაზახები კი ჯერ ისევ მეტეხში დგანან.

◆ **თანამდებობიდან გადადგომა.** როგორც გავიგეთ, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. დიმიტრი ჩოლოყაშვილი თანამდებობას თავს ანებებს. ქაღალდი უკვე შეუტანია.

◆ **სწავლის განახლება.** ტფ. რეალურ სასწავლებელში სწავლა განახლდა გუშინ, 9 ნოემბერს. სხვა სასწავლებლებში დღეს განახლდება სწავლა,

◆ **დღევანდელი წარმოდგენა.** დღეს სახაზინო თეატრში მეტად საინტერესო ქართული წარმოდგენაა. დრამატიული დასი სდგამს ფილიპის ცნობილ პიესას—„ძალა ცოდნაშია“. ამ პიესაში მონაწილეობის მისაღებად ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ვლად. ალექსი-მესხიშვილი. ამ საღამოს ქართულ სცენის საუკეთესო არტისტები თამაშობენ. დრამის შემდეგ წარმოდგენილი იქნება მირბოს კომედია „ქურდი“.

◆ 31 ოქტომბერს გაიფიცნენ ზუგდიდის საქალაქო სკოლის მოსწავლენი და, სხვათა შორის, ითხოვენ სწავლის ფასის შემცირებას 25 მან. 12 მანეთამდე და საკრონომიო განყოფილების მასწავლებლის დონდუას უკან მიღებას.

◆ 23 ოქტომბერს ს. ტაიას მცხოვრებს გურჯია საჯაიას თავს დაეცნენ ავაზაკები და ფული მოსთხოვეს. საჯაიამ რომ უარი უთხრა, მაშინ თითონ დაიწყეს ძებნა და ბალიშ ქვეშ და სკივრში იპოვნეს 1200 მანეთი და წაიღეს. დაზარალებულმა ეჭვი მიიტანა ზუმის მცხოვრებ ვარლამ ჩოქოვაზე.

◆ გვიტისია მეტრეველმა შემდეგის საჩივრით მიჰმართა ხელოსანთა გამგეობას: „40 წელიწადია მეთორნედ ვარ ტფილისში და სამს წელიწადს ამქრის მამასახლისის მოვალეობასაც ვასრულებდი. უკანასკნელ წლებში, მოხუცებლობისა და უსახსრობისა გამო, თორნე ვერ შევინახე და დავიწყე უკვე გამომცხვარ პურის გაყიდვა. მაგრამ მამასახლისები სხირტლაძე და არჩვაძე მიშლიან და ნებას არ მაძლევენ პური ვყიდო, რის გამო ოჯახი მშიერი მყავს. ეს კიდევ არ მაკმარეს ხსენებულმა პირებმა: ჩემ სასარგებლოდ შეაგროვეს 200 მან. და მიითვისეს. ამიტომ ვთხოვ გამგეობას, შევიდეს ჩემს მდგომარეობაში, მოსთხოვოს მათ შეგროვილი ფული და ნება დამრთოს პური ვყიდო“. ხელოსანთა მოურავმა, ბ. რაფაელოვმა, სცადა ამ საქმის გამოძიება, მაგრამ ამაოდ, რადგან სხირტლაძე და არჩვაძე მოწვევაზე არ მივიდნენ; ამიტომ მეტრეველის საჩივარი ტფ. გუბერნატორს გადაეცა.

◆ სამშაბათს, 7 ნოემბერს, წყნეთისა და ყაზბეგის ქუჩების კუთხეში ვიღაც უცნობებმა ოთხჯერ ესროლეს რევოლვერი მეეტლე გიორგი ბითლამაძეს. რომელმაც ვიღაც მგზავრი მოიყვანა ამ ქუჩაზე და უცდიდა. მეეტლე მძიმედ არის დაჭრილი.

◆ ავჭალის ქუჩაზე გუშინ-წინ მეარღნე მიკირტიჩმა ბებუთით დასჭრა ნონიკაშვილისა. მიკირტიჩმა განაცხადა, შეცდომით დავჭერი ქალიო.

ქუთაისის ამბები

◆ ქუთაისში საშინელი სიძვირეა სანოვაგისა. გირვანქა შაქარი ექვს შაურად გახდა, მაგრამ იგი უკვე აღარ იშოვება. ნავთი გირვანქა ორ შაურად არის. მალე აღარც ის იქნება. 30 ოქტომბერს ქუთაისში ხმა გავრცელდა, 31 ოქტომბერს პატრიოტულმა პარტიამ უნდა მანიფესტაცია გამართოს და ხელმწიფის სურათით ქუჩები შემოიაროსო. 31 ოქტომბერს დუქნები სულ დაიხურა. პარტია არსადა სჩნდა. პირველ საათზე დუქნები ხელ-ახლა გააღეს.

◆ გაფიცვის დროს პატარა სადგურებზე დიდძალი დატვირთული ვაგონები დარჩა. ეს ვაგონები, როგორც იქნა, ქუთაისის სადგურზე მოიტანეს. თუმცა სადგურს დიდძალი ჯარი იცავდა, ვაგონები გატეხასა, გაქურდვას მაინც ვერ გადაარჩინეს და ვინ ჩადის ამას, ჰალახმა უწყის. გარეშე პირებს სადგურზე მისვლა არ შეუძლიანთ, თუ სადგურის უფროსისაგან ნებართვის ბარათი არა აქვთ. მიუხედავად ამისა ყოველ ღამე რამდენიმე ვაგონს ტეხავდნენ და ძარცავდნენ. მერე დაკეტილ საწყობებს მიჰყვეს ხელი. გაიტანეს დიდ-ძალი საქონელი. ვიმეორებთ, რომ სადგურზე ჯარის გარდა გარეშე კაცს გაჭაჭანებაც-კი არ შეეძლო. 5 ნოემბერს კიდევ გაძარცვეს ბაღდადიდან ქუთაისში მომავალი დილიჟანი, რომლითაც, სხვათა შორის, ხუთი ბაღდადელი ვაჭარი მოდიოდა: ენდელაძე, მეფარიძე, ფორჩხაძე, სახამბერიძე, და წიქაძე. პირველს წაართვეს 1520 მან. მეორეს—150 მან. და ოქროს საათი, მესამეს—90 მან., მეოთხეს—180 მან. და მეხუთეს—600 მან. ახალი თაობა მაშინვე შეუდგა ავაზაკების შეპყრობას. ერთი მათგანი სოფ. მაღლაკს შეუპყრიათ.

მიტინგი

8 ნოემბერს მოხდა რესტორანებისა, სასტუმროებისა და კერძო სახლების მზარეულ მოსამსახურეთა მიტინგი. მიტინგს დაესწრო 2000 კაცამდე. აქვე იყვნენ სხვა და სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელნი. თავმჯდომარემ განუმარტა დამსწრეთ, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად რუსეთის ვითარება. ეჭვი არ არისო, სთქვა თავმჯდომარემ, რომ პირველი საქმე, რომელიც შეკრებილთ გვაინტერესებს, არის ის, თუ როგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება საზოგადოდ. თუ ჩვენი, მშრომელი ხალხის, პროლეტარიატის ცხოვრების საზოგადო პირობები გაუმჯობესდება, რა თქმა უნდა, სხვა საკითხები თავის თავად გამოირკვევა და გადაწყდება. მუშათა შეგნებულმა ნაწილმა უკვე მიაგნო საუკეთესო გზას და მედგრად შეუდგა ბრძოლას შემავიწროებელ კაპიტალისტ-ბურჟუაზიის წინააღმდეგ; შეგნებულმა უმრავლესობამ სცნო, რომ დღევანდელ მდგომარეობიდან გამომყვანი არის სოციალიზმი, რომლის დამყარების შემდეგაც ისპობა სისხლის მწოველი შეძლებული უმცირესობა და დამყარდება თანასწორობა და ძმობა. იქ ადგილი აღარ ექნება მუქთა ხორობას, უსაქმობას და შეძლებულის მიერ შეუძლებელთა დაჩაგვრასა და საწყალფურად გადაქცევას. მზარეულები და ხელზე მოსამსახურენი უფრო შეწუხებულნი არიან დღეს, ვიდრე ქარხნებში მომუშავენი. მათთვის არ არის სამუშაო დრო განსაზღვრული, არ არის კვირა, უქმე დღე დასასვენებლად; ისინი მუდამ სახლის პატრონების თვალებსა და ხელში შემაცქერალნი არიან. მშრომელმა ხალხმა გაიგო ოინები ბურჟუაზიისა და როდესაც შეებრძოლა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, წინ გადაუდგა ბიუროკრატია, მთავრობა და დევნა დაუწყო. აი, ეს იყო მიზეზი, რომ დაჩაგრულთ იერიში მიიტანეს მთავრობაზე. ხალხმა ბრძოლით მოიპოვა ცოტაოდენი თავისუფლება, მაგრამ თავი წამოყვეს ბნელმა ძალებმა, ხულიგანებმა და უნდათ, რომ ისიც წაგვართვან. აქამდე ლიბერალები და ბურჟუები ჩვენთან ერთად მოქმედებდნენ. საერთო მოქმედებით მოვიპოვეთ თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირისა, ხელუხლებლობა პირადობისა და ბინისა. ლიბერალები და ბურჟუები აქ შეჩერდნენ, რადგან, სჩანს, მეტი არაფერი უნდოდათ. მთავრობა თვითმპყრობელი გადადგა და ეხლა შეძლებულ კლასებს უნდათ ხელთ ჩაიგდონ მართვა-გამგეობა. მაგრამ მუშათა კლასი, მშრომელი უმრავლესობა რუსეთში შეგნებულია და ასე ადვილად არ მოსტყუვდება. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დამფუძნებელი კრება. სოციალ-დემოკრატიული პარტია გიწვევთ შეუერთდეთ მას. შემდეგ ორატორმა გაცნო მიტინგს პროგრამა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა.

ესევე სთქვეს სომხურად და რუსულად სხვა ორატორებმა.

მოსამსახურეებმა განაცხადეს, რომ ჩვენ ორგანიზაცია არა გვაქვს და უმთავრესად იმისთვის შევიკრიბენით, რომ ეს საკითხი განვიხილოთო.

შემდეგ სიტყვის წარმოთქმის ნება მოითხოვეს სხვა პარტიის წარმომადგენელთაც. კ. ჯ—მ, რომელმაც თავმჯდომარის თანაშემწეობა მიისაკუთრა, ნება არ მისცა სიტყვის წარმოთქმისა. ამაზე პროტესტი გამოაცხადა ფედერალისტმა და მოინდომა მიტინგისთვის მიემართნა სიტყვით, რომ თვითხებობას ადგილი არა ჰქონოდა. ფედერალისტს სტოლზე აუვარდა კ. ჯ. და ხალხს მიმართა: ამხანაგებო, აქ ფედერალები ჩამოგვეროვნენ და სოციალისტ-დემოკრატებს ხელი უნდა შეუშალონ და მიტინგზე უსიამოვნება ჩამოაგდონო. ამ დროს თავმჯდომარეც მოვიდა, წესიერება ჩამოაგდო, თუმცა იმანაც უცნაური წინააღმდეგობა წაუმძღვანა სიტყვის წარმოთქმის ნებართვას. ავიდა ფედერალისტი მაღლობზე და სთქვა: ამხანაგებო! თუ დაუკვირდებით ახირებულს და თვითნებურ საქციელს აქ დამსწრე სოციალ-დემოკრატიის რამდენისამე წევრისას, არ შეიძლება არ გაიკვირვოთ, რომ ხალხმა სისხლი დაღვარა, იბრძოლა სიტყვის თავისუფლების მოსაპოვებლად და აქ-კი გამოჩნდნენ ისეთები, რომელნიც ამდენ ტანჯვით მოპოვებულ უფლებას სხვებს ართმევენ და სიტყვის წარმოთქმის ნებას არ აძლევენო. ორატორმა განუმარტა ხალხს, რა არის მუშა, ვინ არის იგი. მუშა ყოველი ის ადამიანი, რომელიც თავის წმინდა ოფლსა ღვრის და შრომით სხვის შეუწუხებლად და გაუყვლეფავად თავის ცხოვრებას თითონ იწყობს. ესენი არიან თქვენისთანა მშრომელნი, ქარხნის მუშები, სახელოსნოებში მომუშავენი, მიწის მუშა გლეხობა. აი მუშა ხალხი ერთის ძალით შეუდგა ბრძოლას გამყვლეფელ ბურჟუაზიის მოსასპობად, დღევანდელ რეჟიმის ძირიან ფესვიანად ამოსაგლეჯად და სოციალიზმისაკენ გზის გასაკაფავად. ამის შემდეგ ორატორმა აღნიშნა თუ რა განსხვავებაა სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის და შეეხო საგლეხო საკითხს და ავტონომია-ფედერაციას. ორივე პარტია სოციალისტური, მუშა ხალხის დამცველი პარტიაა, ხოლო ერთს, ერთი გზა მაჩნია საუკეთესოდ ბრძოლისა და განვითარებისათვის, მეორეს—მეორე. კარგა ხანს ლაპარაკის შემდეგ ორატორმა დაამთავრა სიტყვა და უსურვა მშრომელ ხალხს სრული გამარჯვება. თავმჯდომარემ პასუხი უგო უკანასკნელ ორატორს და, სხვათა შორის, როდესაც შეეხო ს. ფედერალისტების ტერიტორიალურ ავტონომიას, განაცხადა: ჩვენ, ს.-დემოკრატები წინააღმდეგნი ვართ ასეთის ავტონომიისა და მოვითხოვთ კავკასიის საოლქო თვითმმართველობას, სადაც შეიკრიბებიან მთელის კავკასიის წარმომადგენელნი, არჩეულნი საყოველთაო და სხ. კენჭის ყრით და განაგებენ ადგილობრივ საქმეებს, გამოსცემენ კანონებს კერძოდ კავკასიის საქმეების შესახებ.

საღამოს შვიდი საათი შესრულდა და კამათი შეუძლებელი იყო. მიტინგმა აირჩია რამდენიმე კაცი და დაავალა პროგრამის შემუშავება,—თუ როგორ შეადგინოს კავშირი მზარეულ-მოსამსახურეთა წრემ და რა გზას დაადგეს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შემდეგი მიტინგი დაინიშნა პარასკევს, 11 ნოემბრის 1 საათისთვის.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი, 9 ნოემბერი. სრულიად რუსეთის გლეხობის კავშირისა და მოსკოვისა და ოლქების სახალხო მასწავლებელთა და ხალხში სწავლის გავრცელების მოღვაწეთა კავშირის დელეგატთა შეერთებული კრება ძმურ სალამს უძღვნის ყველა ქართველ მებრძოლთ, რომელთა სათავეში სდგას გურია, ეს მოწინავე რაზმი რუსეთის მშრომელ ხალხის განმათავისუფლებელ დიდებულ მოძრაობისა.

კრება პატივისცემით იხსენიებს ბრძოლაში თავგანწირულთა სახელს.

დიდება თავდადებულთ, ხოლო დანარჩენთ—თავისუფლება!

კრების თავმჯდომარე [illegible]
სეკრეტარი სკვორცოვი.

ქუთაისი, 8 ნოემბერი. ქუთათურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დაიქირავა სადგომი მუშათა კლუბისათვის. კლუბი მოქმედებას ამ დღეებში დაიწყებს. იმავე ორგანიზაციამ კვირისთვის დანიშნა მიტინგი ქალაქის ბაღში.

კიევი, 8 ნოემბერი. კიევის მუშათა დელეგატების საბჭომ განიხილა საკითხი გურიის ამბების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოითხოვოს ომის მოსპობა გურიაში. თუ საჭირო იქნება, რუსეთის მთელმა პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს გურიას და ბრძოლა გამოუცხადოს მთავრობას“.

ყველას წინადადება მიეცა, აღარ წაიკითხონ გაზეთი „კიევლიანინი“, რომლის შესახებაც გუშინ გაცნობეთ. ბოიკოტი გამოეცხადა თანამშრომლებსა და ასოთ-ამწყობთ.

უნივერსიტეტის დაკეტვამ უთანხმოება გამოიწვია პროფესორთა შორის. დაკეტვის მოწინააღმდეგეებმა, პროფესორთა საუკეთესო ნაწილმა, 28 კაცმა, განცხადება შეიტანა უნივერსიტეტის საბჭოში და მოითხოვა საკითხის ხელმეორედ განხილვა. ადმინისტრაციის განკარგულებით უნივერსიტეტის გამოსასვლელებს რაზმები იცავენ. არ უშვებენ პრესის წარმომადგენელთ. ოფიცრები აცხადებენ: ბევრს ვეცადეთ აკლების დროს ავველაგმნა ხულიგანები, მაგრამ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ მოვახერხეთო.

კიევი. რუსეთის სამხრეთ დასავლეთის ზოგიერთ მაზრებში უარი განაცხადეს სახელმწიფო გადასახადებზე და სამხედრო ბეგარაზე იმ დრომდე, მანამ დაკმაყოფილებული არ იქნება პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებანი, პეტერბურგში ტელეგრაფით გაგზავნილნი.

პეტერბურგიდან მოსულ ბრძანების თანახმად დაიკეტა კიევის პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

პროფესორთა საგანგებო კრებამ პროტესტი გამოაცხადა, დეპუტაცია აირჩია და გაგზავნა ვიტტესთან.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც ეკუთვნის ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის კავკასიელ სტუდენტთა ერთს ჯგუფს:

„ჩვენ, ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის კავკასიელ სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომელნიც შევადგენთ შორეულ განაპირა ქვეყნიდან მოსულ სტუდენტთა ნაწილს,—იმ ქვეყნიდან, სადაც ბოლოს დროს, დაბრმავებულ ბიუროკრატიის მონაწილეობით, ესოდენ საშინელი შეტაკება ხდება მეზობელ ხალხთა შორის, ვუცხადებთ ჩვენს ღრმა

ზონტი იშლება, რომელსაც შორს სამხრეთით მშვიდად და მედიდურად გადმოსცქერის აჭარის ქალარა, გათეთრებული მთები. ჩრდილოეთით-კი კოხტად აღმართულა ხუჭუჭა, ეხლა შეოქრილ, შრიალა ტყით შეფენილი ნიგოითის და ჯუმათის ქედი. ქედს თითქოს სიყვარულით გაუშლია თავისი კალთა და შეუფარებია მხნედ გამომცქერალი კოპწია „ოდებიანი“ სოფლები: ძიმითი, აკეთი, აცანა, ბაილეთი და სხვა. ძირს კი მიიკლაკნება ჩქარი, ანკარა სუფსა. იგი მიიწრაფვის შორს, ძალიან შორს, სივრცეში ცისფრდება და უერთდება ცისფერ კამარას.

ეტლით მივდიოდით. ვაკვირდებოდი ირგვლივ მიდამოს, მაგრამ არაფერი, არაფერი არ არღვევდა ბუნების საუცხოო ჰარმონიას და არა ერთხელ გავიფიქრე სევდით: ადამიანებმა, გონიერმა ადამიანებმა დაარღვიეს ეს ჰარმონია, ძმებმა დაღვარეს ერთმანეთის სისხლი და ყოველთვის ერთი და იგივე საკითხი მწირ გაუვალ კლდესავით მრისხანედ იმართებოდა ჩემ წინ: ვისი ბრალია ყველა ეს? როდის მოეღება ბოლო ამის გამომწვევ მიზეზებს? ნუთუ ჯერ კიდევ ოცნებაა ეს და შორს არის სანეტარო დრო: ხალხმა ხომ თითონ უნდა შეიგნოს დიადი აზრი ცხოვრებისა, რომ არ იყოს მთავრობის ხელში მონად და ყრუ იარაღად.

უიმედოდ ვაცქერდებოდი ჩემ წინ მჯდომ მდუმარე თანამგზავრებს და... ისევ ვიყურებოდი ირგვლივ. მზის თბილ სხივებით გაშუქებულ ტყე-მინდორ-ველის წყნარი თბილი ნიავი დედის ალერსივით მიჩურჩულებდა: „არ შედრკე, ნუ გეშინიან“!..

სწორედ ნასაკირალის უღელტეხილზე მიდის ჩოხატაურის გზა ტკეცილი. გზა-ტკეცილს ერთის მხრით ტყიანი მაღალი გორა აკრავს, ხოლო მეორე მხრით კარგა ღრმა ტყიანი ხრამი, რომლის ძირში მიდის მოზრდილი მდინარე „ბახვის წყალი“. ვინც ჩოხატაურიდან მიდის, ჯერ უნდა გაიაროს „ნაგომარი“, გადავიდეს ბახვის წყლის ხიდზე და შეუდგეს ნასაკირალის უღელტეხილს. და აი ხალხი იმის მოლოდინში, რომ ჯარი გამოივლისო, აქ ჩაუსაფრდა. აქ გზატკეცილიდან ასე ნახევარ ვერსის მანძილზე, ხრამის მხარეს, 20 ოქტომბერს ნაჩქარევად და მცოდნე კაცების აზრით უვარგისად გამოეთხარათ ლოჟემენტები.

ლაზარენკომ პლასტუნებით მოატანა „ნასაკირალს“ საღამოს მერვე საათზე. მთელი დღე წვიმა მოდიოდა და საღამო ღრუბლიანი და ბნელი დადგა. ჯარი მოდიოდა შემდეგის წესით. წინ სტრაჟნიკები, მერე ერთი ჯგუფი პლასტუნებისა, ეტლი მომრიგებელ მოსამართლის ბარგით, მოსამართლის ეტლი, სადაც თვითონ იჯდა ცოლშვილით, ორის კაცით და ორის ძაღლით; შემდეგ მოშორებით ლაზარენკო ცხენით და მერე დანარჩენი პლასტუნები.

ამბობენ, გურულებს აზრად ჰქონდათ, ჯარი შუაში მოემწყვდიათ. როცა პლასტუნები შევიდოდნენ ჩასაფრებულ ადგილში, ამ დროს ბოლოში ჩასაფრებულთ უნდა გაესროლათ თოფები. შემდეგ ყველანი ასტეხდნენ თოფებისა და ყუმბარების სროლას. ნამდვილად-კი ასე მოხდა საქმე: როცა სტრაჟნიკები და მოწინავე პლასტუნები შევიდნენ ტყეში, ერთმა სტრაჟნიკმა თოფი გაისროლა. ეს ჩასაფრებულებმა ნიშნად მიიღეს და დაახალეს თოფები, გორიდან გადააგდეს სამი ყუმბარა. ასტყდა თუ არა საშინელი სროლა, ეტლის უკან მომავალმა ჯარმა დაუკრა „ატბოი“, პლასტუნები დაწვნენ და სრიალით დაჰქანდნენ ჯერ გზაზე და შემდეგ გადაცვივდნენ ხრამში, მდინარისაკენ. სროლა შესწყდა. პლასტუნებმა ღამე გაათიეს მწოლარეებმა მდინარის ნაპირას და განთიადისას-კი გავიდნენ წყალში და წყლის მეორე მხარეს, ჩასაფრებულების პირდაპირ, გორაზე დაიჭირეს პოზიცია. შეიარაღებულმა და უიარაღო ხალხმა ბრძოლის ველზედ ათასამდის მოიყარა თავი. მთელი ღამე სოფლებში 20 ოქტომბერს თუ მამაკაცები ბრძოლის ველზე იყვნენ, ქალებსა და ბავშვებსაც არ დაუხუჭნიათ თვალები. მთელი ღამე აცხობდნენ, სწვავდნენ, ხარშავდნენ და ცხენოსნებით უგზავნიდნენ საჭმელებს მეომართ.

21 ოქტომბერს დილით ისევ განახლდა კანტი-კუნტი სროლა, რომელიც გაგრძელდა ნაშუადღევის ორ საათამდის, მაგრამ ამას დიდი ზარალი არც ერთი მხრისთვის არ მიუყენებია.

სწორედ ამ დროს მოვიდა მანიფესტი, 17 ოქტომბერს გამოცემული. ხალხმა უცებ შეღავათი იგრძნო. სოფლებსა და ქალაქში დადიოდნენ, ერთმანეთს ატყობინებდნენ და ულოცავდნენ. ყველას იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი დამშვიდდება და ახალ კალაპოტში ჩადგება. ნასაკირალზე ხალხი სრულიად დაიშალა, მცირეოდენის გარდა. მაგრამ პლასტუნების სოტნა, რომელსაც პოზიცია ეჭირა, მაინც ვერა ჰბედავდა ჩამოსვლას. გადასწყვიტეს ხუთის პლასტუნის გაგზავნა ოზურგეთში თავიანთ პოლკოვნიკთან. ხუთივენი გაძვრნენ ნასაკირალის ტყეში და გავიდნენ გზატკეცილზე. ხალხმა დაინახა, დაედევნა უკან და აქა-იქ თოფსაც ესროდნენ. პლასტუნებიც თოფებით პასუხს აძლევდნენ და მირბოდნენ. ერთი პლასტუნი სროლაში დაიჭრა. აი ეს პლასტუნი უნდოდათ დაეტოვებინათ დ. ღ—სას. გააღეს ჭიშკარი და დაუძახეს მასპინძელს. ამ დროს გავარდა საიდანღაც თოფი, მოხვდა ერთ პლასტუნს და იქვე გაანთხევინა სული. პლასტუნებმა ახსნეს იარაღი, მკვდარი გადააგდეს ღ-ს ეზოში, დაჭრილი ისევ წაიყვანეს და გაიქცნენ. ამის შემდეგ აღარავინ დასდევნებია და დანარჩენნი ოზურგეთში ჩავიდნენ.

22 ოქტომბერს დილით ღამიანათ გავიდა სამასი პლასტუნი ნასაკირალზე მისაშველებლად და სწორედ ამ დილასვე გაიღვიძა შურის ძიების მხეცურმა გრძნობამ. გავიდნენ თუ არა ქალაქიდან, გზაზე მოჰკლეს მეწაღე მოხუცებული პავლია დვალიშვილი, რომელიც გზის ნაპირას ღელეში პირს იბანდა. დ. ღ—ტი ბავშვით დაკეტეს სახლში და წაუკიდეს ცეცხლი. მამაშვილი მხოლოდ შემთხვევით გადარჩა დაწვას. დასწვეს სილ. ღლონტის სამზარეულო, ხოლო თითონ რამდენჯერმე ხიშტი ჩასცეს. მოჰკლეს ახალგაზრდა ხმელიძე, რომელსაც ჯერ სახლი დაუწვეს. როცა ისინი მიუახლოვდნენ ნასაკირალის უღელტეხილს, წინ დაჰხვდნენ პოზიცია გამაგრებული პლასტუნები და ლაზარენკო, რომელნიც 22 ოქტომბერს დილით დარწმუნებულიყვნენ, რომ ჩასაფრებულები დაშლილიყვნენ. ამათ თან მიჰქონდათ თავიანთი მკვდრები და დაჭრილები. პლასტუნები, როგორც სჩანს, ძალიან გააბრაზა ამან და აქვე გადასწყვიტეს მცხოვრებთა გადაწვა. იქვე ნასაკირალთან დასწვეს საკირე, რომელშიაც ჯერ მკვდარი სალუქვაძე ჩააგდეს. ამის შემდეგ შესდგომიან გზის ორსავე ნაპირას მცხოვრებთა წვას. ნასაკირალთან გადარჩა ორიოდე სახლი და გზა-ტკეცილზედაც მღვდლის დარჩიას სახლი, რომელიც პოლკის მღვდლად ნამყოფია და პლასტუნებს უცვნიათ.

7 ვერსის მანძილზე, ნასაკირალიდან გაკირულ ხიდამდის, რომელიც ოზურგეთიდან ერთ ვერსზეა, არც ერთი სახლი არ დარჩენიათ ცეცხლ წაუკიდებელი. ასე გასინჯეთ, სოფლისკანცელარია და აბრეშუმის ამხანაგობის ქარხნის სახლიც-კი დაუწვავთ. სულ ორმოცდა ათამდის ოჯახია გადამწვარი. ზოგ ოჯახში გადამწვარია ორი-სამი სახლი საოჯახო მოწყობილობით, ბეღელი, სიმინდით სავსე „ნალიები“. ზოგან სალორე და საქათმე-ღა გადარჩენილა, ზოგან სამზარეულო, „ოდა“-კი არსად არ არის გადარჩენილი, უფრო ნაწილად-კი აწეწილებული ბუხარი ჩუმ მოწამესავით დასცქერის ზევიდან დანახშირებულ, ნაცრად ქცეულ რამდენისამე თაობის ნაშრომ-ნაღვაწს. პლასტუნები ანადგურებდნენ გზაზე ყველაფერს, სწვავდნენ ყველაფერს ჩალის „ზვინებსაც“-კი. აი, სწორედ ამ წვამ დასცა ხალხს თავზარი. რაღაც საშინელი და უცნაური იყო. ხალხი მირბოდა, დიდი-პატარა, ქალი, ბავშვი ფეხშიშველი, თავშიშველი წვიმაში, საითკენაც მოხვდებოდა, ცხენით, ფეხით, ურმით. მირბოდნენ ნათესავებთან, ნაცნობებთან, უცნობებთან, მთებსა და ღრეებში. „გვწვავენ, გვწვავენო“, გაიძახოდა ყველა. არ იყო ოჯახი შორეულ სოფლებში, რომ ოცი ორმოცი სული არ შეხიზნულიყო. მრავალმა კი ტყეებში გაათენა ღამე სიცივესა და წვიმაში ჩვილი ბავშვებით. დარწმუნებული იყო, რომ პლასტუნები კიდევ განაგრძობენ შურის ძიებას, მაგრამ ეს მთელ გურიის გამოწვევა იქნებოდა პარტიზანულ ომისთვის. ამას, როგორც სჩანს, მიხვდა იქაური მთავრობაც.

ასე ჩაიარა ამ საქმემ. გზაზედვე წვის დროს მოუკლავთ მოხუცებული დოლიძე. რამდენიმე დუქანი ჯერ კიდევ 22 ოქტომბერ გაიღო, რომელიც დაბრუნებისას გაეძარცვათ გააფრთებულ პლასტუნებს. 23 კი ყველა დუქანი გაიღო. ხალხი ცოტ-ცოტა დაშოშმინდა და ვისაც ოჯახი დაუწვავი გადურჩა, შინ დაბრუნდა.

ბრძოლის დროს, როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, მოკლულ იქმნა 5 პლასტუნი და 2 გურული. დაიჭრა 13 პლასტუნი, რამდენიმეც დაატყვევეს. ამათ გურულები დიდის პატივის ცემით ეპყრობოდნენ. ორიოდე დღის შემდეგ ყველანი გაუშვეს. ერთს ახალი შარვალიც-კი უყიდეს თურმე.

ქალაქში გათავდა გაფიცვა, მაგრამ სრული სიმშვიდე მაინც არსად იყო. საომარი წესები და ხმები, რომ ჯარებს ჰგზავნიანო, ცუდად მოქმედებდა ხალხზე. 29 ოქტომბერს საჯევახოს გზით ეტლით ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი. 30 ოქტომბერს დილით წაიკითხა მანიფესტი ოზურგეთის მოედანზე. ხალხიც დაესწრო. შემდეგ გუბერნატორმა ინახულა ხალხის წარმომადგენელნი, რომელთაც აღუთქვეს გუბერნატორს, რომ ახალ საკონსტიტუციო სახელმწიფოს დაწესებულებებს მოვხსნით ბოიკოტს, აგრეთვე სალდათებსაც მივცემთ და გადასახადებსაც გადავიხდითო.

ამის შემდეგ ყველამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

ნინო ნაკაშიძე.

თანაგრძნობას ამხანაგთ—პოლონელებს და მათ სამართლიან მოთხოვნას პოლონეთის ავტონომიისას. მტკიცედ გვწამს, რომ რუსეთის განაპირა ქვეყნების ხალხთა კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას უზრუნველჰყოფს მხოლოდ ფართო საფუძველზე აგებული დემოკრატიული ავტონომია. პოლონეთის მოთხოვნის მალე განსახორციელებლად და ამასთანავე რადგან ჩვენ არა გვსურს გარუსების პოლიტიკის იარაღად შევიქნეთ, ვფიქრობთ, რომ ჩვენს დარჩენას საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში შეუძლია ხელი შეუშალოს პოლონელთა პროგრესიულს მოძრაობას, ამიტომ სრულიად ვტოვებთ ინსტიტუტს, თან ვიტოვებთ უფლებას ერთის წლის განმავლობაში არ გამოვიტანოთ ჩვენი დოკუმენტები ინსტიტუტიდან. ამასთანავე მივმართავთ აკადემიურ კავშირს თხოვნით მოგვიხერხოს რუსეთის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა. მივმართავთ იმ ჩვენ ამხანაგთ, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო კავკასიიდან ვერ წამოვიდნენ და რომელთა მოსვლას ველოდით, რათა იმათაც მიეღოთ მონაწილეობა ჩვენს თათბირში, გაზეთების საშუალებით შემოგვიერთონ თავიანთი ხმა და ამრიგად ხელი მოაწერონ ამ რეზოლიუციას“.

სრულიად ვეთანხმებით ჩვენ ვარშაველ ამხანაგთა აზრს და ვაწერთ ხელს რეზოლიუციას: **მ. მელიქ-შახნაზარიანცი, ეჯუბოვი არმენაკ, გ. კრიშმოვსკი, ტ. ეჯუბოვი, ა. ოჰანესოვი, ა. მელიქ-შახნაზარიანი, ე. ბაგრატუნი.**

P. S. ვთხოვთ იმ ამხანაგთ, რომელნიც კავკასიის სხვა ქალაქებში ცხოვრობენ და რომელთაც ჰსურთ რეზოლიუციას შეუერთდნენ, წერილებით შეგვატყობინონ ამ ადრესით: Тифлисъ, Кочубеевская у., № 21 А. Еджубову.

დეპეშა

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 ნოემბერი

პეტერბურგი, 6 ნოემბერი. პეტერბურგის საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებს თათბირი ჰქონდათ, საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, საპედაგოგიო საბჭოების მოქმედების შესახებ. დირექტორისა და ინსპექტორის არჩევითი სისტემის საკითხი არ გავიდა. უნივერსიტეტის ახალ წესდების პროექტი ეგზავნებათ უნივერსიტეტების საბჭოებს, რომელთაც დეკემბრის გასვლამდე უნდა განიხილონ იგი და წარუდგინონ თავიანთი აზრი სამინისტროს; ამავე რიცხვებში კრება გაიმართება მინისტრის თავმჯდომარეობით და საბოლოოთ გადაწყდება საკითხი პროექტის მიღების შესახებ. სტამბებში მუშაობა სწარმოებს. გაზეთები ხვალ გამოდის.

პეტერბურგი. კრონშტადტის ციხის კომენდანტი აცხადებს, მეამბოხე მატროსების დახვრეტაზე გავრცელებული ხმები ტყუილია, არავინ არაა ჯერ დასჯილი. სწარმოებს მხოლოდ სასტიკი გამოძიება, რომლის შედეგი ჯერ არავინ იცისო.

მოსკოვი. ერობათა მოღვაწეების სიეზდზე, გრაფ გეიდენის თავმჯდომარეობით, განაგრძეს კამათი, როგორ მოეპყრან გრაფ ვიტტეს მთავრობას. ორატორების უმეტესობა, და მათ რიცხვში ევგ. ტრუბეცკოი და პეტერბურგის წარმომადგენელი კრასოვსკი, იმ აზრისანი არიან, რომ ვიტტეს პოლიტიკას მხარი უნდა დავუჭიროთ და ეს ერთად ერთი საშუალებაა ქვეყნის დასამშვიდებლათო. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, დახუროს უნივერსიტეტი 15 იანვრამდე და საყოველთაოდ გამოაცხადოს ამგვარ გადაწყვეტილების მოტივები.

გლეხთა სიეზდზე მონაწილეობენ, განსაკუთრებით, ერობებში მოსამსახურენი, ექიმები, აგრონომები, სტატისტიკოსები, ჟურნალისტები და ადვოკატები. გლეხები ძლიერ ცოტაა. სიეზდის ბიუროს ინტელიგენტები შეადგენენ. ყველა ორატორი გლეხები ქალაქელები ან ფაბრიკის მუშებია. თავმჯდომარეობს ფირმა „მაზუთ“-ის ნოქარი კურჩინი.

კოსტრომა, 7 ნოემბერი. გუშინ კონსტიტუციონურ პარტიის პირებს თათბირი ჰქონდათ და გადასწყვიტეს, მხარი დაუჭირონ ვიტტეს პოლიტიკას, რადგან ამ გზით შეიძლება არეულობის მოსპობა და 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებაო.

ვარშავა, 7 ნოემბერი. ყველა ფაბრიკა მუშაობას იწყებს, გარდა რკინეულობისა, საცა დავა აქვთ მუშებს გაფიცვის დღეების ფულის მიღებაზე.

ზლოტოუსტი. საბჭოს სხდომაზე გადაწყდა მილიციის დაარსება.

ტოკიო. ნაგასაკიდან იუწყებიან, რუსის ტრანსპორტებზე არეულობა შეწყდა. პოლიციის ერთი ნაწილი გაიძევეს. დანარჩენ ადგილებშიც უკმაყოფილება ეტყობათ რუს ტყვეებს. ეშინიანთ, ვაი თუ არეულობამ ზღვაში გასვლის შემდეგ იფეთქოსო. კამანდირები ფიქრობენ, ტყვეები ვლადივოსტოკში სამხედრო გემებზე გადავიყვანოთო.

ლონდონი. გაიდ პარკში მომხდარმა მუშების მიტინგმა მშვიდობიანად ჩაიარა. დემონსტრაციის მიზანი იყო სამუშაოს მოპოვება.

8 ნოემბერი.

პეტერბურგი, 8 ნოემბერი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, „ნოვოე ვრემია“-ს სტამბაში შემოვიდა 100-მდე კაცი მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბრძანებით; მათ უნდა დაებეჭდათ მეშვიდე ნომერი „მუშათა დეპუტატების საბჭოს უწყებები“-სა. სტამბის მმართველი და დარაჯები დაატუსაღეს. მოსულები როტაციონურ მანქანაზე ბეჭდდნენ გაზეთს. სტამბაში შესასვლელ კარებს შეიარაღებულები იცავდნენ. სტამბის მოსამსახურეები, ვინც მერმე დაბრუნდა, ყველა დაატუსაღეს. გაზეთის ბეჭდვა დილის 10 საათზე გაათავეს. დაბეჭდილი ნომრები ეტლებით წაიღეს. დილის 11 საათზე სტამბა გაწმენდილ იქნა. პოლიციამ მხოლოდ მეორე დღეს გაიგო ყველაფერი.

„რუს“-ში დასტამბულია გენრიკ სენკევიჩის წერილი, რომ პოლონეთი შორსაა შეიარაღებულ აჯანყებასთანო.

პეტერბურგი. ნოემბრის გასულს სამხედრო-საზღვაო სასამართლოში სევასტოპოლში გაარჩევენ „პატიომკინ ტავრიჩესკი“-ს მატროსების აჯანყების საქმეს. ბრალი ედებათ 50-ზე მეტ მატროსს, პრაპორშჩიკ ალექსეევს, ექიმ გალენკოსა, პოდპორ. კალიუჟნოვს და სხვებს.

პეტერბურგის ქალაქის თავი იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, თუ გაფიცვა კიდევ მოხდა ქალაქის ტელეფონის სადგურზე, დაითხოვონ ყველა მოსამსახურეები, ქალაქთან პირობის ქაღალდი დაირღვეს და საქმე ხაზინას გადასცესო.

სიზრანი, 8 ნოემბერი. დღეს ომის ასპარეზიდან მოვიდა პირველი ჯგუფი მეზღვაურებისა, რომელთაც მშფოთიანად უჭირავთ თავი. სადგურის დასაცველად სასწრაფოდ გამოიწვიეს ჯარი.

ასტრახანი. ყირგიზთა მინდვრებში 1 ნოემბერს, 40 ქოხში 78 ჟამით ავადმყოფი აღმოაჩინეს. 4 ნოემბრამდე მომკვდარა 41 კაცი, 4 ნოემბერს, 70 ვერსზე ასტრახანიდან, ავად გახდა 6 კაცი, რომელთაგან 2 მოკვდა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

7 ნოემბერი.

პეტერბურგი. სამი დღის განმავლობაში, 3-დან 5 ნოემბრამდე, პოლონეთში კიდევ ექვსი კაცი გახდა ხოლერით ავად. ამათგან ოთხი გარდაიცვალა.

გაზეთების ცნობებით, იუსტიციის სამინისტროში საგანგებო კომისიამ უკვე შეიმუშავა პიროვნების ხელშეუხებლობის კანონის პროექტი. ეს კანონი დაუყოვნებლივ წარედგინება მინისტრთა საბჭოს. ამ კანონის ძალით არავინ არ უნდა იქმნას დევნილი და დასჯილი დანაშაულობისა და ბრალდებისათვის სასამართლოს მიერ გაუსამართლებლად.

ბეჭდვით სიტყვის თავისუფლების საკითხი გადაეცა განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც შეადგენს მინისტრთა საბჭოს წევრნი და ზოგიერთნი სპეციალისტები. კომისიას მინდობილი აქვს, შეიმუშაოს ბეჭდვითი სიტყვის დროებითი კანონი.

გრაფ ვიტტემ ამ დღეებში მიიწვია „წესრიგის პარტიის“ დამაარსებელნი და მოისურვა გაეგო, რა გვარი ორგანიზაცია აქვს ამ პარტიას, რამდენად გავრცელებულია მისი მოქმედება პეტერბურგს გარედ და პროპაგანდის რა საშუალებით სარგებლობს პარტია.

8 ნოემბერი

პეტერბურგი. „ნოვოსტი“-ს სიტყვით, არსდება მეცნიერებათა და ხელოვნებათა სამინისტრო, რომელიც დამოუკიდებელი იქნება საერო განათლების სამინისტროსაგან.

ლონდონი, 7 ნოემბერი. მიუხედავათ იმისა, რომ გაჭირვებულ მუშების სასარგებლოთ, დედოფალ ალექსანდრას თაოსნობით შეკრებილ იქმნა 70 ათასზე მეტი გირვანქა სტერლინგი, უხელსაქმოთ დარჩენილებმა ხელ-ახლა გამართეს დიდძალი მანიფესტაცია. შეკრებილთ სიმღერით გაიარეს ლონდონის მდიდარი ქუჩები დემოკრატიულისა და სოციალისტურ პარტიების წითელისა და შავის ბაირაღებით. სოციალურ რევოლუციის სასარგებლოთ „ურა“-ც გაისმოდა. ზოგიერთი მაღაზია დაიხურა, რადგანაც ძალადობის შეეშინდათ, მაგრამ წესიერება საუცხოვო იყო. პოლიციელები მანიფესტანტების გვერდი-გვერდ მიდიოდნენ წყნარად. პროცესიაში მოსჩანდა ბევრი დროშა წარწერით: „ჩვენ მოწყალება არა გვსურს, ჩვენ ვითხოვთ სამუშაოს“-ო.

ეკატერინბურგი. საბჭომ ერთხმად დაადგინა, მოსთხოვოს მთავრობას საყოველთაო ამნისტიის მოხდენა პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, 500 მანეთი გადაიდოს ადმინისტრაციის თვითნებობით დასჯილთათვის და ამავე მიზნით გამართოს ხელის მოწერა ხმოსნებში შემოწირულებებისთვის.

როსტოვი დონზე, 8 ნოემბერი. გუშინ შეტაკება მოხდა მუშებსა და ყაზახ-რუსებს შორის ასმოლოვის ფაბრიკასთან და მძიმედ იქნა დაჭრილი 10-ზე მეტი კაცი.

ვარშავა, 8 ნოემბერი. ნება დაირთო, ვარშავის უნივერსიტეტთან დაუყოვნებლივ იქნას დაარსებული პოლონურ ენისა და პოლონეთის ლიტერატურის ისტორიის პროფესორების თანამდებობანი და აგრეთვე პოლონურ ენის ლექტორისა პოლონურად სწავლებით.

მიტავა, 7 ნოემბერი. გუშინ დიდი საერთო მიტინგი გაიმართა პოლიციის ნება დაურთველად. ხალხმა უარი სთქვა დაშლაზე და გარს შემოერტყა სალდათების ვზვოდს, რომელიც იძულებული გახდა თოფები დაეხალა. დაჭრილია 8 კაცი.

კრემენჩუგი. მაზრაში უფრო ძლიერდება აგრარული მოძრაობა.

სარატოვი. აგრარული არეულობა გადავიდა კუზნეცკი მაზრაში. გადასწვეს ეკონომიები არიაშსა და ნეხლიუდოვკაში და არყის სახდელი ქარხანა იკონნიკოვისა. მაზრებში დადიან აგიტატორები სამხედრო ფორმაში, თავს უყრიან ხალხს და უცხადებენ ბრძანებას, ოქროს ჩარჩოებში ჩასმულს, რომლითაც ვითომ ნება ეძლევა გლეხებს წაიღონ მებატონეების პური. გლეხებიც პურს ინაწილებენ, შენობებს-კი ცეცხლს უკიდებენ. არიან დაჭრილებიც.

ხარკოვი. დონეცის ბასეინის მაღაროებსა და ქარხნებში მუშათა შორის არეულობა იყო. გაფიცვაც მოხდა. მუშების მოთხოვნები შეეხებოდა ადმინისტრაციის დამოკიდებულებას მათთან და შრომის პირობების შეცვლას. ამჟამად ყველაფერი დაწყნარდა და მუშაობაც გაჩაღებულია.

პეტერბურგის ბირჟა 11 ნოემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	$5^1/_4$···$7^0/_2$
4% სახელმწიფო რენტა	$87^1/_8$
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,$^1/_2$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	$451^1/$
5% მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	$346^1/_2$
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
$4^1/_2$% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2$% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე — საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი —ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგმანი სომხურიდან კ. ევანგულოვისა	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ**, სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე

მიიღო რუსეთში მხოლოდ ამხანაგობამ

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულ 1860 წელს

რეზინის კალოშების

ყიდვის დროს, სთხოვეთ ყურადღება მიაქციოთ კალოშის ძირზე განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წლისწლად „1860“ და სიტყვებს

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

[illegible] საწყობი სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

[illegible]კს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, [illegible] და ტფილისში.

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—13).

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

საამდროვო წიგნები

А. Оларъ.	Политич. исторія франц. революціи. Происхожденіе и развитіе демократіи и республики. (1789—1804)	3 р.
Н. Бельтовъ.	(Плехановъ). Къ вопросу о развитіи монистическ. взгляда на ист.	1 р. 50 к.
К. Марксъ.	Капиталъ. Критика политич. экономіи, томъ первый	3 р.
"	Гражданская война во Франціи	15 к.
"	Рѣчь о свободной торговлѣ.	8 к.
"	Кэри и Бастіа. „Марксъ объ искусствѣ“	10 к.
"	Наемный трудъ и Капиталъ	8 к.
"	Заработная плата, цѣна и прибыль	20 к.
"	Итоги 48-го года	10 к.
"	Современная борьба классовъ. (Коммунистическій манифестъ)	8 к.
"	О коммунизмѣ. Переводъ и предисл. Г. Плеханова. (коммун. маниф).	20 к.
Фр. Энгельсъ.	Философія, политическ. экономія, соціализмъ. (Анти-Дюрингъ)	1 р. 50 к.
"	Происхожденіе семьи, собственности и Государства	50 к.
"	Кресгьянскій вопросъ во Франціи и Германіи. подъ ред. и съ предисл. Плеханова	15 к.
Фер. Лассаль.	Томъ первый	1 р. 25 к.
"	О сущности конституціи	6 к.
"	Принципы труда въ современномъ обществѣ	10 к.
"	Гласный отвѣтъ центральному Комитету	10 к.
К. Каутскій.	Соціальный переворотъ. На другой день... Подъ ред. Н. Ленина	20 к.
"	Соціальная реформа и на другой день послѣ соціальн. реформы. Изд. „д. р.“	25 к.
"	Экономич. ученіе К. Маркса. Съ предисловіями автора къ 1-му и 8-му нѣм. изданіямъ. Полный перев. съ 9-го нѣм. изданія. Под ред. проф. В. Желѣзнова	45 к.
"	Экономическое развитіе и общественный строй. (Эрфуртская программа)	20 к.
"	Національность нашего времени	6 к.
"	Развитіе государственнаго строя на Западѣ	6 к.
"	Кризисъ Австріи. (Языкъ и нація)	10 к.
"	Нашъ взглядъ на патріотизмъ и войну	10 к.
"	Ирландія	7 к.
"	Программа германской рабочей партіи	10 к.
"	Колоніальная политика въ прошломъ и настоящемъ	40 к.
"	Изъ исторіи культуры. Платоновскій и древне-христіанскій коммунизмъ	20 к.
"	Фридрихъ Энгельсъ, его жизнь и дѣятельность	10 к.
"	Воспоминанія. (Автобіографія). Переводъ В. Засуличъ	5 к.
А. Бебель.	Женщина и Соціализмъ	1 р.
"	Положеніе женщины въ настоящемъ и будущемъ	8 к.
"	Антисемитизмъ и Коллективизмъ въ Германіи	5 к.
Н. Г. Чернышевскій.	Ром. Что дѣлать?	1 р. 50 к.
А. Богдановъ.	Краткій курсъ экономической науки	1 р.
"	Изъ психологіи общества	80 к.
"	Эмпріомонизмъ. Статьи по философіи	80 к.
"	Познаніе съ исторической точки зрѣнія	1 р.
В. Либкнехтъ.	Отъ обороны къ нападенію	10 к.
"	Наши цѣли	7 к.
"	Карлъ Марксъ. Біографическій очеркъ	15 к.
"	Робертъ Оуэнъ, его жизнь и общественн. дѣятельность	5 к.
Б. Лафаргъ.	За и противъ Коммунизма	15 к.
"	Поклоненіе золоту	5 к.
"	Мои воспоминанія о К Марксѣ	10 к.
"	Благотворительность	8 к.
Н. Ленинъ.	Аграрный вопросъ и „Критики“ Маркса	15 к.
Шиппель.	Современная бѣдность и современ. перенаселеніе	1 р. 25 к.
"	Профессіональные союзы рабочихъ	15 к.
Эмиль Вандервельдъ.	Промышленное развитіе и общественный строй	50 к.
"	Притягательная сила городовъ	40 к.
"	Золотая свадьба международнаго соціализма	6 к.
В. Зомбартъ.	Экономическіе и соціальн. вопросы въ современ. обществѣ	10 к.
Бр. В. Желѣзновъ.	Къ реформѣ современной теоретической Экономіи	5 к.
Л. Аксельрадъ.	(ортодоксъ). О „проблемахъ идеализма“	15 к.
Р. Зейдель.	Нормальный рабочій день	5 к.
Ж. Гэдъ	Коллективизмъ. Перев. подъ ред. В. А. Поссе	6 к.
Ж. Лонгэ.	Соціализмъ въ Японіи Перев. В. Засуличъ	10 к.
Кл. Цеткинъ.	Женскій вопросъ и Германское студенчество	8 к.
К. Эйснеръ.	В. Либкнехтъ. Его жизнь и дѣятельность	15 к.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.